შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№2 (9.616)

31 იანვარი-8 თებერვალი 2013 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

კვირის სკანდალი

„მომიტანეთ ორი გვამი“...

ვიდრე მთავარი პროკურატურა ინტერნეტსივრცეში გავრცელებული ვიდეოჩანაწერის ავთენტიკურობას დაადგენს და შესაძლო დანაშაულის ნიშნებს გამოიძიებს, ურთიერთგამომრიცხავი ვერსიები ვრცელდება პოლიტიკური ოპონენტების თუ ექსპერტების მხრიდან. მეტიც, ჩანაწერის იმ ფრაგმენტს, სადაც იმდროინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი (მუხროვანის სპეცოპერაციის დაგეგმვისას) "ორ გვამს" ითხოვს, სხვადასხვანაირად ხსნიან თავად ვანო მერაბიშვილი და „ნაციონალური მოძრაობის“ სხვა წარმომადგენლები. რა შეფასებები და რეაქციები მოჰყვა ვიდეომასალას, რომელიც 29 იანვარს YouTube-ზე აპოლონ ოსმანის (appolon osman) სახელით გავრცელდა?

2010 წლის 11 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლომ დაადასტურა ბრალდების მხარის ვერსია, რომ 2009 წლის 5 მაისს მუხროვანის ჯავშანსატანკო ბატალიონში წამოწყებულ იქნა ხელისუფლების დასამხობად გამიზნული ამბოხება. მუხროვანის საქმესთან დაკავშირებით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა 20-მდე პირს. მათ შორის, ხანგრძლივი ვადით პატიმრობა მიესაჯა რამდენიმე პირს, რომლებიც ამბოხების ორგანიზატორებად იყვნენ მიჩნეული. ესენი არიან: რეინჯერთა ბატალიონის ყოფილი მეთაური ლევან ამირიძე (28 წლით თავისუფლების აღკვეთა), გადამდგარი პოლკოვნიკი კობა ოთანაძე (29 წლით თავისუფლების აღკვეთა) და მუხროვანის ჯავშანსატანკო ბატალიონის ყოფილი მეთაური შოთა გორგიაშვილი (19 წლით თავისუფლების აღკვეთა).

არც თბილისის საქალაქო სასამართლომ და არც, მოგვიანებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ბრალდებულთა ვერსია, რომელსაც ისინი ხელისუფლების შეცვლის შემდეგ გათავისუფლებულებიც იმეორებენ, რომ მათ არა მაშინდელი ხელისუფლების დამხობის სურვილი, არამედ ხელისუფალთა უსამართლო პოლიტიკის მიმართ უკმაყოფილება ამოძრავებდათ:

"პროტესტამდეც ვერ მივაღწიეთ. პროტესტიც ვერ გამოვთქვით. როგორც კი შევედით სამხედრო ნაწილში, სამხედრო ნაწილს დაარტყეს ალყა... უკვე გამზადებული პროვოკაცია იყო..."

გადამდგარი პოლკოვნიკი კობა ოთანაძე, რომელსაც სპეცოპერაციის დროს 9 ტყვია მოხვდა, თითქმის ხუთი წლის წინანდელ ამბებს, თანამოაზრეებთან ერთად, ხუთშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე იხსენებდა. ითქვა, რომ ვანო მერაბიშვილის მიერ მოთხოვნილ "გვამებში" სწორედ ისინი, მუხროვანის მოვლენებში მონაწილეები, იგულისხმებოდნენ; რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა სასიკვდილოდ ისინი ყველანი გაიმეტა, თუმცა 2009 წლის 21 მაისს სპეცოპერაციას მხოლოდ გია კრიალაშვილის სიცოცხლე შეეწირა.

სავარაუდოდ, სწორედ მუხროვანის ამბოხებაში ბრალდებული პირების წინააღმდეგ მიმართულ სპეცოპერაციას გეგმავს იმდროინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი 29 იანვარს გავრცელებულ ვიდეოჩანაწერში. ისმის კონკრეტული დავალება:

„მინდა მე ორი კაცი, ორი გვამი მჭირდება. მომიტანეთ ეს ორი გვამი. ვსიო. პრემია დიდია".

ის, რომ ვანო მერაბიშვილი "ორ გვამში", სავარაუდოდ, კობა ოთანაძესა და გია კრიალაშვილს გულისხმობდა, "ნაციონალური მოძრაობის" არაერთმა წარმომადგენელმა დაადასტურა. მათ შორის არის საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი დეპუტატი გივი თარგამაძეც, თუმცა, მისი თქმით, ეს არ იყო ადამიანების მოკვლის დავალება, რადგანაც მერაბიშვილს ორივეს ლიკვიდაციის ბრძანება რომ გაეცა, სიცოცხლეს ვერც ერთი ვერ შეინარჩუნებდა, ანუ ამ ბრძანების შესრულებას წინ ვერაფერი დაუდგებოდაო.

"ჩვენ ვხედავთ, ის იძახის, რომ ორი ადამიანის დაკავებაა საჭირო. და იგულისხმება, რომ, თუკი ისინი გაწევენ წინააღმდეგობას, აბსოლუტურად ბუნებრივია ასეთ შემთხვევაში ძალოვანების მხრიდან ადეკვატური მოქმედება", - განაცხადა გივი თარგამაძემ.

იმავე აზრისაა დედაქალაქის უფლებამოსილებაშეჩერებული მერი გიგი უგულავა, რომელიც, ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და ყოფილ იუსტიციის მინისტრ ზურაბ ადეიშვილთან ერთად, ასევე ჩანს ოთხშაბათს ინტერნეტსივრცეში გავრცელებულ ვიდეოჩანაწერში. როდესაც ამ ჩანაწერის შინაარსზე ლაპარაკობს, გიგი უგულავა ხაზს უსვამს ვანო მერაბიშვილის "გრამატიკულად არცთუ ისე დახვეწილ" საუბარს და თვლის, რომ ყველაფერი კანონის ფარგლებში იყო მოქცეული:

"აქ საუბარია იმაზე, რომ, როგორც ოპერაციის ხელმძღვანელი, სპეცრაზმელებს აძლევს დავალებას, რომ, წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, მათ ლეგიტიმური ძალის გამოყენების უფლება აქვთ და, მათ შორის, როდესაც ტერორისტული აქტია და ამბოხია და როდესაც შეიარაღებული წინააღმდეგობაა, სპეცრაზმელებს აქვთ ლიკვიდაციის უფლება".

თუმცა "ორი გვამის" გარშემო თანაპარტიელების მიერ გაკეთებულ განმარტებებს, შეიძლება ითქვას, ცივი წყალი გადაასხა თავად ვანო მერაბიშვილმა. 30 იანვარს, სასამართლო პროცესის მსვლელობისას, მან თქვა, რომ "ორ გვამში" ის რუს აგენტებს გულისხმობდა:

"მუხროვანის აჯანყებაში მონაწილეობდა, გარდა ჩვენთვის საკმაოდ კარგად ცნობილი ადამიანებისა, რომლებიც, ჩემი ინფორმაციით, სწორედ რუსეთის დავალებით მოქმედებდნენ, ჩვენი ინფორმაციით, მონაწილეობდა კიდევ ორი რუსი მრჩეველი და, ჩვენი ინფორმაციით, კვალის დაფარვის მიზნით, შეთქმულების ორგანიზატორებმა მოახდინეს მათი ლიკვიდაცია. ამ ჩანაწერში ჩანს, რომ მე ვიძლევი ბრძანებას ამ ორი ადამიანის გვამის პოვნის შესახებ. ეს იყო ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი, რათა დაგვემტკიცებინა კავშირი ამ აჯანყებასა და რუსეთს შორის".

ისტორია დახოცილი რუსი მრჩევლების შესახებ პირველად ესმის სამხედრო სფეროს ანალიტიკოსს გიორგი თავდგირიძეს. როგორც მან უთხრა რადიო თავისუფლებას, ვანო მერაბიშვილმა, სასამართლოს გარეშე, სასიკვდილო განაჩენი თავად, ერთპიროვნულად გამოუტანა ე.წ. მუხროვანის ამბოხებაში ბრალდებულ პირებს:

"მერაბიშვილი, ეტყობა, კარგად ვერ ერკვევა თავისი ქმედებების სიმძიმეში და ძალიან მჩატედ ეპყრობა ორი ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს, თუნდაც სხვა ქვეყნის მოქალაქეების შემთხვევაში... ამაზე შინაგან საქმეთა მინისტრი აქამდე დუმდა და არ იყო გამოძიებული. რაღაც სხვა, ახალი დანაშაულის თემაა ეს. ახალ აღიარებით ჩვენებას იძლევა მერაბიშვილი".

გიორგი თავდგირიძის მსგავსად, სპეცოპერაციის დაგეგმვის ქაოტურობით განცვიფრებულია ექსპერტი სამხედრო საკითხებში თემურ ჩაჩანიძეც. ის არ გამორიცხავს, რომ ვიდეოჩანაწერში ასახულ აურზაურში, უწესრიგობასა და ყვირილში ვანო მერაბიშვილი ადამიანურ სისუსტეებს აჰყვა და მისი დავალებაც სწორედ აქედან გამომდინარეობდა:

"სავსებით შესაძლებელია, რომ აქ გამოუცდელობის მომენტიც იყო... აქ, შესაძლებელია, თავის წარმოჩენის მომენტიც იყო და კიდევ სხვა მომენტები იყო... როცა ადამიანი აფექტშია, აღელვებულია, შეიძლება ათასი რაღაცა თქვას, მაგრამ ამისთვის არის, რომ წინასწარ იგეგმება ოპერაციები, აიწონება დადებითი და უარყოფითი მხარეები და შემდეგ ხდება მოქმედება და არა ისე სპონტანურად, რაც ჩვენ ვნახეთ ამ კადრებში. ეს იყო ძალიან სპონტანურად გაკეთებული საქმე, რამაც, სამწუხაროდ, მერე ასეთ შედეგებამდე მიგვიყვანა".

29 იანვარს ინტერნეტსივრცეში გამოჩენილმა ვიდეოჩანაწერმა მაშინვე მიიპყრო მთავარი პროკურატურის ყურადღება, თუმცა 30 იანვარს ცნობილი გახდა, რომ გამოძიებაც დაწყებულია.

"ვინაიდან ჩანაწერში აშკარად ჩანს მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან უკანონო ბრძანების გაცემა, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო გამოძიება. მთავარი პროკურატურა, აღნიშნული გამოძიების ფარგლებში, შეისწავლის მუხროვანში ჩატარებული სპეცოპერაციის კანონიერებას, რასაც შედეგად მოჰყვა კობა ოთანაძის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება და გიორგი კრიალაშვილის ლიკვიდაცია", - ვკითხულობთ მთავარი პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

"ფესვები" - მილანში

გვ. 3

ერთი დღე „სპექტრში“

გვ. 4

ოჯახური ძალადობის საზარელი ამბავი ზემო ქედში

გვ. 6

საქართველოში 164 სოფელი მთლიანად დაცარიელებულია

გვ. 2

C M Y K

საქართველოში 164 სოფელი მთლიანად დაცარიელებულია

ლევან ვასაძე მთიანი რეგიონებისთვის საგადასახადო შეღავათების დაწესებისა და კომუნალური გადასახადების სუბსიდირების იდეით გამოდის.

2002 წლის მონაცემებით, საქართველოში 164 სოფელი მთლიანად გაუკაცრიელებულია.

ამის შესახებ მთის პრობლემასთან დაკავშირებით "ქორთიარდ მარიოტში" მიმდინარე სპეციალურ კონფერენციაზე ითქვა, რომლის სახელწოდებაცაა "შჭშ საქართველოს მთა" და რომელიც "დემოგრაფიული აღორძინების ფონდის", რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის ორგანიზებით ტარდება.

ორგანიზატორთა თქმით, 2002 წლის მონაცემებით, საქართველოში 164 სოფელი მთლიანად გაუკაცრიელდა, ხოლო 152 სოფელში 10 და 10-ზე ნაკლები კომლი ცხოვრობს. ამ სოფლების უმეტესობა მთიანი სოფელია, ასევე უმძიმესი მდგომარეობაა საზღვრისპირა ზოლში, რომელიც თითქმის მთლიანად არის დაცლილი მოსახლეობისაგან. საუბარია ასევე ერთიანი დოკუმენტის შემუშავებაზე, რომელიც მომზადების შემდეგ კანონპროექტის სახით წარედგინება პარლამენტს.

ღონისძიებაში მონაწილეობას იღებენ მთავრობისა და პარლამენტის წარმომადგენლები, ასევე დაგეგმილია "დემოგრაფიული აღორძინების ფონდის" სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელის, ლევან ვასაძის სიტყვით გამოსვლაც.

კონფერენციაზე წაიკითხეს პატრიარქის სპეციალური წერილი, რომელშიც ილია მეორე ხელისუფლებას საკუთარ წინადადებებსა და მოსაზრებებს სთავაზობს მთაში მოსახლეობის დაბრუნებასთან დაკავშირებით. პატრიარქის აზრით, პირველ რიგში, საკანონმდებლო ცვლილებებია განსახორციელებელი და სამუშაო ადგილები შესაქმნელი, რომ ხალხი დაინტერესდეს და მთისკენ იბრუნოს პირი.

„პირველ რიგში, უნდა ვეცადოთ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა დაბრუნდეს და თუ ამას ვერ მივაღწევთ, პირობები უნდა შეიქმნას, თუნდაც მათი ნახევარწლიანი მომთაბარე ცხოვრებისათვის, ანუ ნაწილობრივი დაბრუნებისათვის მიტოვებულ ადგილებში." — ბრძანებს ილია მეორე და აღნიშნავს, რომ კარგი იქნება, თუ ამ ადგილებში დასახლდებიან მშობლების მზრუნველობამოკლებული ის ახალგაზრდები, რომლებსაც 18 და მეტი წელი შეუსრულდა და რომელთაც აქამდე მოქმედი კანონმდებლობით, ფაქტიურად, ქუჩაში წასვლა უწევთ.

მისივე თქმით, ამ მიმართულებით შეიძლება ვიფიქროთ იმ ოჯახებზეც, რომლებმაც გაჭირვების გამო დაკარგეს სახლ-კარი. პატრიარქის თქმით, ასევე სასურველია, მთის დაუსახლებელ ტერიტორიებზე მოეწყოს მიმაგრების ადგილები, რომ შედარებით მსუბუქი დანაშაულის მქონე ადამიანებმა მოიხადონ სასჯელი.

"დემოგრაფიული აღორძინების ფონდის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ბიზნესმენი ლევან ვასაძე კი ხელისუფლებას მთის საკითხებთან დაკავშირებით სპეციალური სააგენტოს ან სამინისტროს შექმნის წინადადებით მიმართავს.

ვასაძე ხელისუფლების წარმომადგენლებს ასევე სთავაზობს მთიან და მაღალმთიან რეგიონებთან მიმართებაში საგადასახადო შეღავათების ამოქმედებას, დემოგრაფიული დახმარების დაწესებას, დემოგრაფიული დახმარების პროგრამების გააქტიურებას და კომუნალური გადასახადების სრულ სუბსიდირებას.

„გამოვაცხადოთ ესა თუ ის წელი პრიორიტეტების შესაბამისად რაჭის, ხევსურეთის, ფშავის, სვანეთის წლად და ასე 5-6 წლის განმავლობაში მძლავრი იმპულსები მივცეთ მაღალმთიანი რეგიონების განვითარებას", - განაცხადა ბიზნესმენმა.

დედოფლისწყაროს გამგებლის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში 19 განცხადებაა რეგისტრირებული

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში ამ დროისთვის 19 განცხადებაა რეგისტრირებული.

დედოფლისწყაროს გამგებლის შესარჩევად კონკურსი 23 იანვარს გამოცხადდა და 6 თებერვალს დასრულდება.

საკონკურსო მოთხოვნების მიხედვით, კანდიდატი უნდა იყოს ბაკალავრის ხარისხის მქონე, სამწლიანი სამუშაო გამოცდილებით. კარგად უნდა ფლობდეს ინტერნეტს და საოფისე პროგრამებს.

ასევე, მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა: საქართველოს კონსტიტუცია; ევროპული ქარტია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ"; საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ"; საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ"; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (I, II, III და IV თავები); საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი; საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ"; საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"; საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ"; დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულება (რეგლამენტი); დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულება.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაციით, კონკურსი ორ ეტაპად ჩატარდება. პირველ ეტაპზე მოხდება განაცხადების გადარჩევა, მეორე ეტაპზე კი გასაუბრება.

შეგახსენებთ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობა ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც ირაკლი შიოლაშვილი კახეთის გუბერნატორად დაინიშნა. გამგებლის მოვალეობას მოადგილე გივი გიგაური ასრულებს.

ღვინის ეროვნული სააგენტო წელს ვაზის უნიკალური ჯიშების აღდგენას გეგმავს

საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტო 2014 წელს, ვაზის უნიკალური ჯიშების აღდგენას, მევენახეობის განვითარების ხელშეწყობას, ღვინის ლაბორატორიული კვლევების ჩატარებას და საერთაშორისო ბაზრებზე ქართული ღვინის პოპულარიზაციის გაზრდას გეგმავს. ამასთან, როგორც სააგენტოში აცხადებენ, წელს დაინერგება ელექტრონული აღრიცხვიანობის სისტემა და წახალისდება სამეცნიერო კვლევების ჩატარება.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის ლევან დავითაშვილის განმარტებით, აღნიშნული ღონისძიებების გატარება უზრუნველყოფს ქართული ღვინის პროდუქტების ექსპორტის მოცულობის გაზრდას, საექსპორტო ბაზრებზე დაბალხარისხიანი, ან ფალსიფიცირებული პროდუქციის აღკვეთას, ასევე ვაზის უნიკალური და იშვიათი ქართული ჯიშებით გაშენებული ფართობების რაოდენობის ზრდას.

დავითაშვილმა დღეს, ღვინის მწარმოებელ კომპანიებს სააგენტოს 2014 წლის სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები წარუდგინა. როგორც ლევან დავითაშვილმა აღნიშნა, ღვინის ეროვნული სააგენტო მიმდინარე წელს სხვადასხვა მიმართულებით იმუშავებს.

ღვინის ეროვნული სააგენტოს სამოქმედო გეგმის პრეზენტაციას სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძე, აგრარულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე გიგლა აგულაშვილი და მისი მოადგილე გელა სამხარაული დაესწრნენ.

2013 წლის მონაცემებით საქართველოდან ცხვრის ექსპორტი 10%—ით შემცირდა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2013 წლის მონაცემებით, ცხვრის ექპორტი 10%—ით არის შემცირებული. როგორც სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში აცხადებენ, საქართველოდან ყველაზე დიდი რაოდენობით ცხვრის ექსპორტი აზერბაიჯანში განხორციელდა.

„2013 წელს, საქართველოდან 15 547 200 დოლარის ღირებულების 191 369 ერთეული ცხვრის ექსპორტი განხორციელდა მაშინ, როდესაც 2012 წელს, ქვეყნიდან 18 156 200 დოლარის ღირებულების 172 690 სული ცხვრის ექსპორტია განხორციელებული", — აცხადებენ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურში.

სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, საქართველოდან ყველაზე დიდი რაოდენობით ცხვრის ექსპორტი აზერბაიჯანში განხორციელდა, სადაც 2013 წელს, 13 622 000 დოლარის ღირებულების 171 719 ერთეული ცხვრის ექსპორტი მოხდა.

სააგენტოს ცნობით, ბოლო პერიოდში, ცხვრის საექსპორტო ბაზრები ეტაპობრივად მცირდებოდა. თუ გასულ წლებში ქართულ ცხვარზე დიდი მოთხოვნა იყო არაბულ ქვეყნებში, 2013 წლის მონაცემებით, ეს ინტერესი საგრძნობლადაა შემცირებული.

ილია II-მთაში უსახლკაროები და მსუბუქი დანაშაულისთვის მსჯავრდებულები დავასახლოთ

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ინიციატივით გამოდის, მთაში მზრუნველობამოკლებული ბავშვები და უფროსი ასაკის უსახლკარო ადამიანები დაასახლონ. ასევე, პატრიარქის აზრით, კარგი იქნება, თუ მთის დაუსახლებელ ადგილებში მსუბუქი დანაშაულისთვის მსჯავრდებული პატიმრები მოიხდიან სასჯელს.

„კარგი იქნება, თუ დავასახლებთ (წინასწარი მომზადების შემდეგ) მშობლების მზრუნველობამოკლებულ იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც 18 და მეტი წელი შეუსრულდა და რომელთაც აქამდე მოქმედი კანონმდებლობით, ფაქტობრივად, ქუჩაში წასვლა უწევთ. შეიძლება ვიფიქროთ იმ ოჯახებზეც, რომლებმაც გაჭირვების გამო დაკარგეს სახლ-კარი და ღვთის ანაბარად დარჩნენ. ასევე, სასურველია, მთის დაუსახლებელ ტერიტორიებზე მოეწყოს მიმაგრების ადგილები, რომ შედარებით მსუბუქი დანაშაულის მქონე ადამიანებმა მოიხადონ სასჯელი და თავისი შრომით წვლილი შეიტანონ მხარის აღორძინებაზე. რათქმაუნდა, წინადადებები სხვაც ბევრი იქნება და ალბათ გაცილებით უკეთესიც, რაც ფრიად სასიხარულოა ჩვენთვის. მთავარია, რეალური ნაბიჯები გადაიდგას, რომ ქვეყანა დაცარიელებული მთიდან გამომდინარე უმძიმესი შედეგებიდან ვიხსნათ. ეკლესია მზად არის, შესაძლებლობისამებრ გვერდში დაუდგეს ამ საქმეს და თავისი წვლილი შეიტანოს საქართველოს გადარჩენაში", - აცხადებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

ამ თემაზე ილია მეორემ სპეციალური წერილი „ქორთიარდ მარიოტში" მიმდინარე კონფერენციაზე წაიკითხეს. სადაც სასულიერო პირები და ორგანიზაცია „შჭშ-საქართველოს მთა" —ს წარმომადგენლები იმყოფებიან.

პატრიარქი ფიქრობს, რომ მთის პრობლემების გადასაჭრელად პირველ რიგში საკანონმდებლო ცვლილებები უნდა განხორციელდეს და სამუშაო ადგილები უნდა შეიქმნას. ილია II-ის თქმით, მთის პრობლემებზე აქამდეც არაერთხელ უსაუბრია, მაგრამ უშედეგოდ.

„მთის პრობლემებზე გასულ წლებში არაერთხელ აღმინიშნავს ჩემს ქადაგებებსა და ეპისტოლეებში, მაგრამ სამწუხაროდ, შედეგი არ მოჰყოლია. ვიმედოვნებ, ეს კონფერენცია, ქმედითი ღონისძიებების საწყის ეტაპად იქცევა. ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ პირველ რიგში, საკანონმდებლო ცვლილებებია განსახორციელებელი და სამუშაო ადგილები შესაქმნელი, რომ ხალხი დაინტერესდეს და მთისკენ იბრუნოს პირი. ვინ შეიძლება დასახლდეს აღნიშნულ რეგიონებში? პირველ რიგში, უნდა ვეცადოთ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა დაბრუნდეს და თუ ამას ვერ მივაღწევთ, პირობები უნდა შეიქმნას, თუნდაც მათი ნახევარწლიანი მომთაბარე ცხოვრებისათვის, ანუ ნაწილობრივი დაბრუნებისათვის მიტოვებულ ადგილებში", — ნათქვამია პატრიარქის წერილში.

ალექსი პეტრიაშვილის ინფორმაციით, ტექდათვალიერების ღირებულება 50 ლარზე მეტი არ იქნება

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ალექსი პეტრიაშვილის განცხადებით, ავტომობილების ტექდათვალიერების ღირებულება 50 ლარზე მეტი არ იქნება.

როგორც მინისტრი აცხადებს, ტექდათვალიერება მოსახლეობას მძიმე ტვირთად არ დააწვება.

ავტოსატრასპორტო საშუალებების ტექდათვალიერება საქართველოში სავალდებულო 2015 წლის პირველი მარტიდან ხდება.

ავტომობილებზე სავალდებულო ტექდათვალიერება 2004 წელს გაუქმდა. მაშინ „საგზაო უსაფრთხოების შესახებ"კანონში გაკეთდა ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც ავტომანქანების ტექდათვალიერება 2013 წლის 1-ლი იანვრიდან უნდა განახლებულიყო. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, პარლამენტმა ე.წ. გამარტივებული წესით „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ"კანონში ცვლილებების პროექტი დაამტკიცა. დამტკიცებული კანონპროექტის თანახმად, ავტომობილები ტექდათვალიერებას, ნაცვლად 2013 წლის იანვრისა, 2014 წლის 1-ელ იანვრამდე დაექვემდებარებოდა. 2013 წლის 24 დეკემბერს, პარლამენტმა მხარი დაუჭირა ეკონომიკის სამინისტროს ინიციატივას, რომლის მიხედვითაც, ტექდათვალიერების გავლის აუცილებლობამ 2015 წლის 1 მარტამდე გადაიწია.

ამ დროისთვის საქართველოს ტერიტორიაზე 900 000 — მდე ავტოსატრანსპორტო საშუალებაა რეგისტრირებული.

2012 წლის მონაცემებით, მანქანების 91% 10 წელზე მეტი ასაკისაა. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, კონტროლის არარსებობის პირობებში სავარაუდოა, რომ ავტომობილების უმრავლესობა ტექნიკურად გაუმართავია.

"ფესვები" – მილანში

უკვე მერვე წელია, დედოფლისწყაროში სახელოსნო „ფესვები“ მოქმედებს, ნაყოფიერი მუშაობის გარდა მათ მივიწყებული ტრადიციების აღდგენაც მოახერხეს. არაერთ წარმატებასთან ერთად, მათ სახელს უკავშირდება ძაფის ბუნებრივი ღებვის ტრადიციული ტექნიკის აღდგენაც. საღებავებს ბროწეულის ქერქის, კაკლის წენგოს, ენდროსა და სხვა ბუნებრივი მასალების გამოყენებით ამზადებენ. აქ მრავლად შეხვდებით უძველესი ორნამენტებისგან დამზადებულ სუვენირებსა და აქსესუარებს, ზარდახშებსა და ხურჯინებს.

ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამის პროექტის: „ტრადიციული რეწვა — ერთიანი პლატფორმა განვითარებისთვის; შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორის გაძლიერება საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში“ ფარგლებში, ევროკავშირის, საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარდა ერთობლივი გამოფენა-კონკურსი. საერთაშორისო ჟიურიმ გამოავლინა ყველაზე ინოვაციური და ბაზარზე ორიენტირებული პროდუქცია. მათ შორის სახელოსნო „ფესვები“ მოხვდა, რომელიც ამიერკავკასიაში ერთადერთი გამარჯვებული გახდა. გამარჯვებული ოსტატი და პროდუქცია მილანში ხალხური რეწვის სასაჩუქრე ბაზრობაზე ARTIGIANO IN FIERA წარსდგა.

გაზეთ „შირაქი“ იმის გარკვევას შეეცადა, რა წარმატებას მიაღწიეს ტრადიციული ხელსაქმით დაკავებულმა დედოფლისწყაროელმა ქალბატონებმა. ჩვენ სახელოსნოს სამხატვრო ხელმძღვანელი და მისი წევრები მოვინახულეთ.

ნინო ბახუტაშვილი: „ეს სერიოზული გამარჯვება იყო. ჩვენ დიდი გზა გავიარეთ, ამიტომ ჩვენთვის ყველაზე საუკეთესო პროდუქციის გამოვლენა, ჩვენი ისტორიის განმავლობაში ყველაზე ფასეულია, რადგან ამისთვის ვიღწვოდით ამ წლების განმავლობაში. მილანში ეს გამოფენა ყოველწლიურად ტარდება საშობაოდ, სადაც მთელი მსოფლიოდან ყველა ოსტატი მონაწილეობს. იქ ჩვენი ადგილის მონახვა ძალიან მნიშვნელოვანი იყო. აღმოჩნდა, რომ საქართველო 10 წლის წინ მონაწილეობდა ამ გამოფენაში და მას შემდეგ წყვეტა იყო, რომელიც ჩვენ აღვადგინეთ. ძალიან მნიშვნელოვანი იყო კიდევ იმით, რომ დავინახეთ რა ვითარებაა ამ მხრივ მსოფლიოში და ნათელი გახდა ისიც, რომ ჩვენ ძალიან დიდი მუშაობა და ბრძოლა დაგვჭირდება, რათა ამ სივრცის სრული წევრები გავხდეთ. კონკურენცია მართლაც ძალიან დიდია, ბევრი პროდუქციაა და რთულია გაეჯიბრო. თუკი ჩვენი სახელოსნოს მსგავსად საქართველოში ბევრი იმუშავებს და სახელმწიფოს ინტერესიც იქნება, მაშინ ნამდვილად შევძლებთ ამ სივრცის შემადგენელი ნაწილი გავხდეთ და ადგილი დავიმკვიდროთ. რადგან როცა ბევრი პროდუქციაა, ეს იმას ნიშნავს, რომ იქ გატანილი ნამუშევარი ძალიან ხარისხიანი უნდა იყოს და ფასიც მისაღები ჰქონდეს.

უკვე ორი წელია, მიმდინარეობს USID პროექტი, ჯერ მთელი საქართველოს მასშტაბით მოხდა კვლევა, რა ვითარებაშია ქართული რეწვა. მეორე ეტაპზე მოეწყო გამოფენა-კონკურსი, სადაც საუკეთესო პროდუქცია გამოვლინდა ამიერკავკასიაში. ამ გამოფენაში მონაწილეობდა სამი ქვეყანა: სასომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო. მნიშვნელობა ენიჭებოდა იმას, ტრადიციულიდან როგორ ესადაგებოდა პროდუქცია თანამედროვეობას. როგორც ჩანს ჩვენ ამას გავართვით თავი და დასკვნით ღონისძიებაზე დაგვასახელეს ყველაზე საუკეთესოდ და ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის.

– რა შეგძინათ ამ გამოფენამ, რითია მნიშვნელოვანი სხვა ქვეყნებში მოგზაურობა...

– საქართველოს აუცილებლად სჭირდება სხვა მასშტაბებზე გასვლა. აუცილებელია ადგილზე ვნახოთ, რამდენად კონკურენტუნარიანი ნაწარმი გვაქვს.

– რამდენად მოჰყვა დაინტერესება თქვენს მიერ მილანში ჩატანილ პროდუქციას?

– ჩვენი ნაწარმი ნამდვილად ორიგინალური და სრულიად განსხვავებული იყო, ეს აღმოვაჩინე და ძალიან მნიშვნელოვანი იყო. დავინახე, რომ თვითმყოფადი პროდუქცია წავიღეთ. თუ ინტენსიური სახე ექნება გასვლით გამოფენებს, ალბათ დავფუძნდებით და ადგილს დავიმკვიდრებთ.

– ზოგადად, რამ გამოიწვია თქვენი დაინტერესება ამ დარგით?

თეა ნატროშვილი: „როდესაც საინიციატივო ჯგუფი შეიქმნა, მაშინვე გავერთიანდი და პირველივე დღიდან მათ გვერდით ვარ. დღეს ეს დარგი ჩემთვის უკვე პროფესიად იქცა, თუმცა მოხარული ვიქნებოდი, თუ ფინანსური შემოსავლის წყაროც გახდება.“

ნინო ბახუტაშვილი: „ჩემი მეორე პროფესიაა ქსოვა, ტექსტილი... ქიზიყის ადგილმდებარეობა ყოველთვის მეცხვარეობით გამორჩეული იყო. მოგეხსენებათ, სადაც მეცხვარეობაა, იქ ხელსაქმეც არის. ქიზიყელი ქალების უმრავლესობა ქსოვდა. მუშაობა სკოლის მოსწავლეებით დავიწყე და სულ მალე დიდებიც ჩავრთე. საბჭოთა პერიოდში წყვეტა მოხდა, ქიზიყელი მქსოველები აღარ იყვნენ, აღარ იქსოვებოდა ქიზიყური ფარდაგები. გადავწყვიტეთ, რომ ეს ყველაფერი ჩვენს თავზე აგვეღო. შევქმენით მოხალისეების საინიციატივო ჯგუფი და შემოქმედებით საქმიანობას შევუდექით. თავდაპირველად მოძიებით ვიყავით დაკავებულები. ნიმუშებს ვეძებდით ოჯახებში და მუზეუმებში. შემდეგ აღვადგინეთ, მოვქსოვეთ. მოგვიანებით ძაფის ბუნებრივი ღებვის ტრადიციის აღდგენაზე გადავერთეთ, მოვიკვლიეთ მასალები და ნელნელა ვვითარდებოდით. ძალიან ბევრი საინტერესო გამოფენა იყო. რაც მთავარია, ჩვენ ერთადერთი ჯგუფი ვართ საქართველოში, რომელიც ამ მიმართულებით მუშაობს. დიდი სიყვარულით ვინახავთ ამ მიმართულებას და ეს არის ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი“.

ლალი იაკობიშვილი: „ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული, თუმცა ყოველთვის გული მწყდებოდა, რომ ამ ხელობის შესწავლა ვერ მოვახერხე. მას შემდეგ, რაც ეს ჯგუფი შეიქმნა, ნინო ჩემი მეგობარია და ცხადია, მასთან გავერთიანდი. ძალიან დამაინტერესა და ჩამითრია აქ მუშაობამ. მუშაობის პროცესმა და ძიებამ ძალიან მომხიბლა. ჩვენი არცერთი ნამუშევარი ერთმანეთს არ ჰგავს. სულ ახლის ძიებაში ვართ და არ ვართ ორიენტირებული იმაზე, რა უფრო უკეთესად გაიყიდება.

ნინო ბახუტაშვილი: „სხვათაშორის ლალის მიერ მოქსოვილი ერთ-ერთი ფარდაგი აჩუქეს „სტინგს“. როდესაც ის საქართველოში იყო ჩამოსული, კულტურის სამინისტროს უნდოდა რაიმე გამორჩეულად ეროვნული ნამუშევარი საჩუქრად გადაეცათ, ასე რომ, ლალი იაკობიშვილის ნამუშევარი სტინგის კოლექციას ამშვენებს“.

ლალი იაკობიშვილი: „რა თქმა უნდა, ძალიან მეამაყება, რომ ჩემი ნამუშევარი სტინგის კოლექციაშია, მაგრამ ის ფაქტი უფრო მგვრის სიამოვნებას, რომ საჩუქარი კულტურის სამინისტრომ შეარჩია და ის უამრავ სუვენირს შორის ამოარჩიეს. მეორე ნამუშევარიც ჩვენი სახელოსნოდან აჩუქეს.“

– საინტერესოა, რა სირთულეები ახლდა ამ მივიწყებული ტრადიციების აღდგენას?

ნინო ბახუტაშვილი: „მართლაც, ძალიან რთული გზა გავიარეთ. საზოგადოებამდე უნდა მიგვეტანა, ბევრი სკეპტიკურად გვიყურებდა. პროცედურულადაც რთულია სახელოსნოში მუშაობა ფიზიკურ დატვირთვას მოითხოვს. არასოდეს არ გვქონია მოთხოვნა ვინმეს მიმართ, რომ დაგვაფინანსონ. ჩვენ თვითონ, საკუთარი სახსრებით, დამოუკიდებლად ვუმკლავდებოდით ყველა სიძნელეს. ბევრი კეთილი ადამიანიც გამოჩნდა, რომელიც ამ ხნის მანძილზე სხვადასხვაგვარად გვეხმარებოდა. ჩემი მეუღლე მეხმარება ღებვაში, მცენარეული საღებავები მოაქვს. მაგრამ, რა ბრუნვაც ჩვენ გვაქვს, ეს სახელოსნოს ვერ შეინახავს. საქმის დაწყებაა მთავარი და მნიშვნელოვანი, თორემ მერე გზა გამოჩნდება. ბევრი უანგაროდ და უხელფასოდ გვეხმარებოდა და ასე ნაბიჯ-ნაბიჯ განვვითარდით. ორი საგრანტო კონკურსი იყო, სადაც მსოფლიო ბანკმა და შვეიცარიის ფონდმა დაგვაფინანსა და ბაზა შევქმენით. საუკეთესო დაზგები და იარაღები გვაქვს, უმაღლეს დონეზე მოვაწყეთ სახელოსნო და საუკეთესო ადგილია, რომ მომავალმა თაობამ ისწავლოს და სხვათაშორის ამ პროექტის ფარგლებში ახალგაზრდებს ვასწავლეთ კიდეც. იმედი გვაქვს, რომ დაინტერესება სახელმწიფოს მხრიდანაც წამოვა.

– შეღებვის ტექნოლოგიებზე რომ ვისაუბროთ, რა სირთულეებთანაა ეს დაკავშირებული?

– ტრადიციული წესების დაცვით ვმუშაობთ, შუა ცეცხლზე, სპილენძის ქვაბში. ეთნოგრაფიული მასალებიდან ამოვიღეთ. ურთულესია, იმიტომ, რომ ეს ტექნოლოგიები ფაქტობრივად დაკარგული იყო.

ვინც ეს საქმე ისწავლა, დაინახა, რომ ეს არის ძალიან რთული ხელსაქმე, მითუმეტეს არ არის ბაზარი. ძვირადღირებული საქმიანობაა, საქართველოში ტურიზმი იმდენად განვითარებული არ არის, რომ ეს პროდუქცია წარვადგინოთ, უფრო რთული აღმოჩნდა მისი რეალიზაცია, ამდენად მომავალი თაობის ინტერესი, რომ ისწავლიან და აქედან შემოსავალს მიიღებენ, ნაკლებად მიმზიდველად ჩანს. იმისათვის, რომ ეს დარგი გადარჩეს და იარსებოს, აუცილებელია ამისთვის სახელმწიფო ნება. მაგალითად, ჩვენი სახელოსნო უამრავ გადასახადს იხდის, ეს კი ძალიან რთულია ჩვენთვის. უნდა იყოს გარკვეული ხელშეწყობა, ან შეღავათები. ეს ხელოვნება არის მართლაც გადასარჩენი და გვერდით უნდა დავუდგეთ, მნიშვნელოვანია მისი შემონახვა. კულტურის სამინისტროსთან ამ საკითხებზე ვაპირებ საუბარს. თუ ჩვენი ერის ისტორია დაფუძნებულია ამ კულტურაზე, უცხოელებთან ეს არის ჩვენი სასაუბრო ენა. კულტურას საზღვრები არ აქვს და სწორედ ამით წარმოჩინდება ჩვენი ერი.

ლელა ფირალიშვილი *(კულტუროლოგი):* გოგონებს, რომელთაც უკვე 10 წელია ვიცნობ, ვულოცავ ამ წარმატებას. მათ წარმოუდგენლად დიდი რესურსი აქვთ ამისთვის. პირველად „ფესვებს“ რომ გადავეყარე, ჩემთვის ეს იყო წარმოუდგენელი აღმოჩენა. რომ იცოდეთ, რა პირობებში მუშაობდნენ ეს გოგონები, ვერ დაიჯერებთ, რომ ასეთი შედეგები შეიძლება მიეღოთ. აბსოლუტური ენთუზიაზმი და შემოქმედებითი მუშაობა იყო, მათ არ ჰქონდათ ფინანსური ინტერესი. ეს ჯგუფი პირველად შვეიცარიის კულტურის განვითარების სააგენტომ შენიშნა და დააფინანსა, რომ ელემენტარული პირობები შექმნოდათ მუშაობისთვის. ეს გოგონები ჩვენს ქვეყანაში პირველი ინიციატორები არიან, რომელთაც ჩაკეტილი სივრცე გაარღვიეს.

ილია მარტყოფლიშვილი

ერთი დღე „სპექტრში“

სასწავლო ცენტრი „სპექტრი“ 2013 წელს დედოფლისწყაროში წლის წარმატებულ ორგანიზაციად დასახელდა.ამ ფაქტმა და კიდევ ბევრმა დაგროვილმა კითხვამ გადაგვაწყვეტინა,ერთი დღე აქ გაგვეტარებინა. შევხვდით და ვესაუბრეთ სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელს ნუნუ ცაკაშვილს.

იმისათვის, რომ სხვისთვის წარმატების მოტანა შეგეძლოს,ჯერ თვითონ უნდა გამოირჩეოდე მიღწეული წარმატებებით. ქალბატონი ნუნუ, მართლაც, ყოველთვის გამოირჩეოდა განსაკუთრებული ენერგიულობით და ერუდიციით,თავდაუზოგავი ღვაწლით რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობის განათლების მაღალი ხარისხის მინიჭების თვალსაზრისით. მისთვის 2013 წელი არამხოლოდ სამსახურებრივად იყო წარმატებული, არამედ ოჯახურადაც.მისი უფროსი ვაჟი - ირაკლი იმერლიშვილი გასული წლის ბოლოს თავისი პატარა ოჯახით ლონდონიდან. დაბრუნდა იგი ოთხი წლის განმავლობაში იღებდა იქ ცოდნას, დაამთავრა მაგისტრატურა ბიზნესის ადმინისტრირების კუთხით და უკვე დასაქმდა თბილისში. უმცროსმა - ილიამ 2013 წელს დაამთავრა მაგისტრატურა, გახდა კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრი და ამავე წელს ჩაირიცხა კვლავ მაგისტრატურაში ფინანსისტის სპეციალობით. აქვს აუდიტად მუშაობის ხუთწლიანი გამოცდილება საერთაშორისო აუდიტორულ კომპანიაში „IUAI“.

ორი წარმატებული შვილის დედას თავის მოსწავლეებზე იგივე მოთხოვნები გააჩნია და ამისათვის თავს არ ზოგავს,ენერგია კი ულევი აქვს.

- საიდან იღებს სათავეს თქვენი მოსწავლე-ახალგაზრდობასთან მუშაობის გამოცდილება?

- თავის დროზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარჩინებულ სტუდენტებს გვაგზავნიდნენ მოსწავლეთა საზაფხულო სკოლა -ბანაკ „მცირე აკადემიაში“ ჯგუფის ხელმძღვანელებად. იქ იყო იდეალური ატმოსფერო სწავლა-განათლებისა და სამომავლო გეგმების დანახვისთვის.სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფებში ინტერესების მიხედვით გაერთიანებული ნიჭიერი ბავშვებისთვის ეს იყო შეუდარებელი და დაუვიწყარი პერიოდი.ჩემთვის შინაგანად იმთავითვე განისაზღვრა მომავალი საქმიანობის სფერო. ასეცაა, ჩემი შრომითი მოღვაწეობა მთლიანად მოსწავლე-ახალგაზრდობასთან სკოლისგარეშე მუშაობას, მათი თავისუფალი დროის სწორად დაგეგმვას, თვალსანიერის გაფართოებას, ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოვლენას ემსახურება.

სხვათაშორის,“მცირე აკადემიაში“ სამჯერ გამგზავნეს და შემდეგ უნგრეთის საგზურით დამაჯილდოვეს. ამას მოჰყვა უნივერსიტეტის სტუდენტთა თვითმმართველობაში საშეფო მუშაობის ხელმძღვანელობა. ცხრამეტივე ფაკულტეტის ურთიერთობით საქართველოს სკოლების მოსწავლე-ახალგაზრდობასთან მივიღე ძალიან მნიშვნელოვანი გამოცდილება.

მას შემდეგ ბავშვებთან მუშაობის ხანგრძლივი გზა გავიარე...

სასწავლო ცენტრ“სპექტრის“ დაარსებისას მქონდა ოცდაცამეტწლიანი გამოცდილება. ჩემი ოჯახის გვერდში დგომით შევძელი დედოფლისწყაროელი ბავშვებისთვის რაიონის ცენტრში შემექმნა გარემო,რომელზეც სტუდენტობის დროს ვოცნებობდი და რომლის ანალოგიურიც, არათუ კახეთის,არამედ საქართველოს არცერთ რაიონში ჯერ არ ფუნქციონირებს. ძალიან მიხარია, რომ დღეს აქ ვარ და ღირსეულ პედაგოგებთან ერთად თანამედროვე პროგრამებით და ტექნიკური აღჭურვილობით კომფორტულ და სიყვარულით გარემოცულ პირობებში ვაკეთებ საქმეს, რომელსაც მომავალი თაობისთვის გზის გაკაფვა ჰქვია.ამ უკიდეგანო სამყაროში სათანადო სწავლა-განათლებისა და ერუდიციის გარეშე თავის დამკვიდრება ფაქტიურად შეუძლებელია.ამ ამოცანის წინაშე დღეს მსოფლიოს ახალგაზრდობა დგას. ბედნიერი ვიქნები,თუ ამ დიდ ოკეანეში ერთი წვეთი ჩვენი შრომაც იქნება.

- როგორ შეაფასებთ ჩვენი რაიონის აბიტურიენტთა შედეგებს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე?

- გვყავს ძალიან ნიჭიერი, მიზანსწრაფული და შრომისმოყვარე ბავშვები. ჩვენი ცენტრის მაგალითზე გეტყვით. ამ სამი წლის განმავლობაში 14-მა აბიტურიენტმა მიიღო 100% -იანი გრანტი (თითოეულმა 9000 ლარი) ერთიან ეროვნულ გამოცდებზე. სრული და ნაწილობრივი დაფინანსების ჯამური თანხა აღემატება 200000 ლარს. ჩვენი გოგო-ბიჭები სწავლობენ საქართველოს ყველაზე რეიტინგულ და პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში: თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში, კავკასიის უნივერსიტეტში,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, CIPA-ში (საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტში), თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში და სხვ.რაც შეეხება წარმატებულ აბიტურიენტებს,საკმაოდ გრძელი სიაა. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულებით „სპექტრის“ მოსწავლეთაგან ლიდერობენ: 2011 წელს -ანი ბილიაშვილი,2012-მარიამ ბოსტოღანაშვილი, 2013-გიორგი ყოჩიაშვილი. ყოველწლიურად საქართველოს აბიტურიენტთა რაოდენობა 32000-დან 40000-მდე მერყეობს ხოლმე. შედეგებით პირველ ათეულში მოხვედრა ძალიან დიდი წარმატებაა. ეს შეძლო გიორგი ყოჩიაშვილმა .

განსაკუთრებულად აღვნიშნავ პაატა კიკილაშვილის წარმატებას. ამერიკაში ერთწლიანი სწავლებიდან დაბრუნებულმა ათიოდე დღეში მოახერხა სრული მობილიზება და ESM-ში ძალიან მაღალი კონკურსის პირობებში ჩაირიცხა.

ჩვენი რაიონის თითოეული ახალგაზრდის წინსვლა ძალიან მახარებს.ჩარიცხულ სტუდენტთა სიები რომ ცხადდება,მეცხრე ცაზე ვარ ხოლმე. დედის ტოლფასად მიხარია თითოეული მათგანის წარმატება.

- რამდენადაც ცნობილია, თქვენთან მოსწავლეთა წახალისების სხვადასხვა და ცოტა უცნაური ფორმებიც გაქვთ.

- ერთ-ერთ მათგანზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას. გასულ წელს ცენტრის მოსწავლეთა მიერ სკოლაში მიღებულ 10-იანს ტორტით აღვნიშნავდით. ამან ბავშვები ძალიან გაახალისა და ერთმანეთს აქეზებდნენ, უფრო კარგად ესწავლათ,რომ ეამაყათ ტორტების რაოდენობით. ყოველდღიურად თვითონვე აჯამებდნენ 10-იანების რიცხვს. მეშვიდეკლასელმა ნატო ბაგალიშვილმა კონკურსის გამოცხადებისთანავე თქვა: ას ათიანს მე მივიღებო.თქვა და აასრულა კიდეც. ნატო უბადლო იყო გეოგრაფიულ კონკურსშიც, ამიტომ ბავშვებმა ერთხმად დაასახელეს „სპექტრის“2013 წლის საუკეთესო მოსწავლედ. ერთი ტორტი ნატოს ას ათიანს მივუძღვენით. საერთოდ უკვე 38 ტორტით გვაქვს აღნიშნული ცენტრის სამწლიანი ისტორიის სხვადასხვა წარმატება. ისე,უცნაურობისა რა მოგახსენოთ,მაგრამ „სპექტრის“ მოსწავლეთათვის ყოველწლიურად ვაწყობთ ექსკურსიებს საქართველოს ღირშესანიშნაობების დასათვალიერებლად.

ჩვენს მიერ ჩატარებულ სხვადასხვა ინტელექტუალურ კონკურსებში გამარჯვებულ მოსწავლეებს ვაჯილდოვებთ სიგელებით.

- როგორც მშობელს,მახსოვს თქვენი მრავალწლიანი მუშაობა რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობასთან.საახალწლო კარნავალები, ინტელექტუალური კონკურსები სკოლებს შორის, კურსდამთავრებულთა საზეიმო გაცილებები... რას გამოყოფდით იმ პერიოდიდან?

- გამოვყოფ ბავშვთა პარლამენტის არჩევნებს.დედოფლისწყაროდან უნდა წარდგენილიყო ორი მოსწავლე.რაიონის ჩვიდმეტივე სკოლამ ადგილზე აირჩია თითო საუკეთესო კანდიდატურა.მე დამევალა 17 წარჩინებული მოსწავლიდან კონკურსის წესით გამომევლინა საუკეთესოები.შევადგინე კითხვარი .ოცივე კითხვას ამომწურავი და აბსოლუტურად ზუსტი პასუხი გასცეს დედოფლისწყაროს N1 საშუალო სკოლის მეათეკლასელმა ირაკლი ღარიბაშვილმა და N2 სკოლის მეთერთმეტეკლასელმა თამარ გიგოლაშვილმა,ისინი ღირსეულად იქნენ არჩეულნი ბავშვთა პარლამენტში.

- ისევ „სპექტრში“ დავბრუნდეთ. როგორ შეაფასებთ ზოგადად სასწავლო ცენტრის საქმიანობას?

- შეფასება აჯობებს სტუდენტებმა,პედაგოგებმა,მოსწავლეთა მშობლებმა გააკეთონ.

მაია ლაკიაშვილი - **გეოგრაფიის მასწავლებელი:** სპექტრთან“ მაქვს კავშირი მისი დაარსების დღიდან. შემიძლია შევაფასო, როგორც მშობლის, ისე პედაგოგის პოზიციიდან. ეს არის ადგილი, სადაც დაუღალავად შრომობენ ბავშვების ინტელექტუალური განვითარებისთვის. „სპექტრში“ შექმნილია კომფორტული, თანამშრომლობითი და კეთილგანწყობილი გარემო. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე. არცერთი ბავშვი არ არის ყურადღების გარეშე. როგორც მშობელი, ყოველთვის იმედიანად ვარ , რადგანაც ვიცი, რომ „სპექტრში“ გატარებული დრო ჩემი შვილისთვის არის სოციალიზაციის, ერუდიციის ამაღლების და სკოლაში მიღებული საშინაო დავალების შესრულებისთვის საუკეთესო ადგილი. ვარ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ტრენერი. ამ სამი წლის განმავლობაში სპექტრშიც ვმუშაობ ტრენერად , ვამზადებ მსურველებს გეოგრაფიაში საატესტატო და ეროვნული გამოცდებისთვის. აქ შექმნილია საუკეთესო პირობები, როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური მეცადინეობებისთვის. საამაყოა ეროვნული გამოცდების შედეგები - „სპექტრის“ მოსწავლეთა უმრავლესობამ მიიღო 50-100 %-იანი სასწავლო გრანტი გეოგრაფიის შედეგებით.

მაკა ფიროსმანაშვილი **(მშობელი)**: „ჩემი სამსახურიდან გამომდინარე არ მაქვს იმის საშუალება რომ ჩემს შვილს დავუჯდე და ვამეცადინო, შესაბამისად, მშვიდად ვარ, რადგან ვიცი, რომ ჩემი შვილი არის მოწესრიგებული სკოლისთვის, გარდა ამისა, არის სისუფთავეში და სითბოში.

თამარ შეითნიშვილი **(აგრარული უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტი):** „დღეს რომ სტუდენტი ვარ, სპექტრის დამსახურებაა. აქ მოსვლის პირველივე დღიდან დავინახე, რომ აქ ყველა ფერია- სპექტრია. კომფორტულ გარემოს, პირველ რიგში ადამიანები ქმნიან, მათი დახმარებით სწავლობ შენი შესაძლებლობების უკეთ გამოყენებას. ეს არის ადგილი, რომელსაც თამამად შემიძლია ვუწოდო გზა წარმატებისაკენ, გზა უკეთესი მომავლისაკენ. სწორედ სრულფასოვანი განათლებაა წარმატებული მომავლის საწინდარი.

დღეს „სპექტრი“ დედოფლისწყაროს ახალგაზრდებისათვის საუკეთესო გარემოა, მაგრამ არამხოლოდ მათთვის. ჩვენთვის ეს ისევ ის თბილი სახლია, სადაც დიდი სიხარულით მივდივართ და ღიმილიანი სახეებით გვხვდებიან.

სასწავლო ცენტრს ვუსურვებ, კიდევ უფრო მეტი ახალგაზრდისთვის გაეკვალოს გზა მომავალში.

გიორგი აგლაძე - **საქართველოს საქმეთა უნივერსიტეტი** (GIPA): „რა თქმა უნდა, ყველა ადამიანის წარმატებისათვის, განსაკუთრებით მოსწავლისათვის, უმთავრესია ის გარემო, სადაც იგი ცოდნას იღებს. ჩემ შემთხვევაში, საბედნიეროდ, ერთ-ერთი საუკეთესო სკოლა დავამთავრე. თუმცა, ვთვლი, რომ ჩემი წარმატების კიდევ ერთი განმაპირობებელი ფაქტორი სასწავლო ცენტრ „სპექტრთან“ ხანგრძლივი ურთიერთობა იყო.

რამდენიმე წლის წინ, როცა პირველად ამ შენობაში შემოვდგი ფეხი, გულახდილად რომ ვთქვა, მაინცდამაინც არ ვყოფილვარ სწავლისთვის მოტივირებული. თუმცა, დროთა განმავლობაში, როცა მისაღები გამოცდებისთვის მომზადება დავიწყე, აქტიურად მივყავი მუშაობას ხელი. რა თქმა უნდა, უდავოა, რომ მოტივირებულ ახალგაზრდას საკმაოდ კარგი ცოდნის მიღება შეუძლია „სპექტრში“, თუმცა, გარდა ამისა, იგი ეჩვევა საზოგადოებასთან ურთიერთობას, იღებს ცხოვრებისეულ გამოცდილებას. ჩემი აზრით, მხოლოდ ერთი მხრივ ცოდნის მიღება არ არის საკმარისი სოციალური სტატუსისთვის, უფრო მეტიც, მხოლოდ წიგნში ინფორმაციის ძიებით ვერ მიაღწევ პერმანენტულ წარმატებას. ამისათვის საჭიროა გამოცდილების მიღება, თანატოლებთან და უფროსებთან საერთო ენის გამოძებნა, აუცილებელია, ისწავლო საკუთარი აზრის თამამად და დაუფარავად გამოხატვა.

ერთადერთი, რაც ჩემს შემდგომ თაობას შემიძლია ვუთხრა და ვურჩიო, ის არის, რომ ნაყოფიერად გამოიყენონ ეს ინოვაციური პროექტი, ის ოჯახური და თბილი გარემო, რაც ამ სასწავლო ცენტრში ხვდება ადამიანს.

პირადად მე წარმატებით დავამთავრე სკოლა და წარმატებითვე ჩავირიცხე საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა უნივერსიტეტში (GIPA). ვფიქრობ, ამ სასწავლო ცენტრს ჩემს წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის. თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ცენტრის დამაარსებელს ქალბატონ ნუნუ ცაკაშვილს.

ნელი ხარაზიშვილი **(გერმანული ენის მასწავლებელი):** „აქ დაარსების დღიდან ვარ. ჩემთვის „სპექტრში“ მუშაობა არა მხოლოდ საინტერესოა, არამედ დიდი სითბოს და ხალისის მომცემია. ეს ცენტრი ჩემთვის თბილი სახლია, სადაც ვაკეთებ საქმეს, რომელიც ძალიან მიყვარს. დედოფლისწყაროს არცერთ სკოლაში გერმანული ენა აღარ ისწავლება. ამიტომ, ამ ენის დაუფლების მსურველი უფროსკლასელები სასწავლო ცენტრში მოდიან. თითოეული მათგანი ძალიან წარმატებული და მოტივირებულია. ვამაყობ ჩემი მოსწავლეებით: სანდრო ჯანიაშვილით,რეზო ჯანყარაშვილით, ნატო ბაგალიშვილით, ნინო და გვანცა მახარაშვილებით, თიკო ბაკაშვილით,მარი ხარაზიშვილითა და მერაბ ონანაშვილით.

ამ ახალგაზრდების დიდი სურვილია, სამომავლოდ გერმანიაში ისწავლონ.(სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით გერმანიაში სწავლა უფასოა.)

ცენტრში უკვე ორჯერ გვყავდნენ გერმანელი სტუმრები.ძალიან მოეწონათ ჩვენი ბავშვები.

მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის მეშვეობით მადლობა გადავუხადო ქალბატონ ნუნუ ცაკაშვილს - ჩვენს დირექტორს სასწავლო ცენტრის დაარსებისთვის. აქ ყველა პირობაა იმისათვის, რომ ბავშვმა ნებისმიერ საგანში გაიღრმავოს ცოდნა და გაიფართოვოს თვალსაწიერი მაღალკვალიფიციური მასწავლებლის და შესატყვისი ტექნიკური აღჭურვილობის მეშვეობით.

ნინო სეთურიძე - **ინგლისური ენის სერთიფიცირებული მასწავლებელი,** გახანგრძლივებული ჯგუფის ხელმძღვანელი - უკვე ერთი წელია, რაც აქ ვმუშაობ. საოცრად თბილი და მეგობრული გარემოა.არასდროს ვამბობ ფრაზას „სამსახურში მივდივარ“, ვამბობ - „სახლში მივდივარ“,რადგან ჩვენ ერთი დიდი ოჯახი ვართ. სახლში ერთი შვილი მყავს, აქ ბევრი.

ერთ დღეს სრულიად უცნობმა გოგომ ამ ცენტრის კარი შემოვაღე, მსურდა მუშაობის დაწყება. ჩემი ბიოგრაფიის მოსმენის შემდეგ ქალბატონმა ნუნუმ სრულიად უყოყმანოდ, ყოველგვარი „საცდელი ვადის“ გარეშე, ნება დამრთო დავრჩენილიყავი და მეკეთებინა ის საქმე, რაც

(გაგრძელება გვ.5)

სასკოლო კონფერენცია

„ადამიანისა და მტაცებლების არსებობა საზიარო გარემოში“

„ნაკრესის“ ადამიანსა და მტაცებლებს შორის კონფლიქტზე რეაგირების ჯგუფის ერთ-ერთ მიზანს მოსახლეობასთან ურთიერთობა და კონფლიქტის შესახებ მათი ინფორმირება წარმოადგენს. ჯგუფი ახალგაზრდებისთვის ხშირად მართავს კონკურსებს, პრეზენტაციებს, აწყობს ექსკურსიებს და სხვადასხვა ღონისძიებებს. ამჯერად სასკოლო კონფერენციის ჩატარება იგეგმება,რომლის მიზანია სკოლის მოსწავლეებში მტაცებლებსა და ადამიანებს შორის კონფლიქტის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

საკონფერენციო თემებისთვის მოცემულია შემდეგი სათაურები: **„როგორ უნდა დავიცვათ პირუტყვი მტაცებლებისგან უკეთ“, „როგორ მესმის ადამიანებსა და მტაცებლებს შორის კონფლიქტი“, „საქართველოს მტაცებელი ცხოველები და მათი როლი ბუნებისთვის“**. მონაწილეობის მსურველმა უნდა აირჩიოს ერთ-ერთი სათაური, მოიძიოს საჭირო ინფორმაცია და მოამზადოს თემა.მიღებული თემებიდან შეირჩევა ხუთი საუკეთესო, რის შემდეგაც ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში ჩატარდება კონფერენცია, სადაც გამარჯვებული თემების ავტორები გააკეთებენ მოხსენებებს.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის (მათ შორის სოფლების) სკოლების VIII-XII კლასის მოსწავლეებს. კონფერენციის თარიღი გამოცხადდება გამარჯვებული თემების გამოცხადებასთან ერთად.

გამოგზავნილ თემას ავტორის ვინაობასთან ერთად თან უნდა ახლდეს საკონტაქტო ინფორმაცია. თემებისგამოგზავნის ბოლო ვადაა- 24 თებერვალი.

კონკურსზე რეგისტრაციისთვის და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით სკოლის ადმინისტრაციას ან „ნაკრესის“ „ადამიანსა და მტაცებლებს შორის კონფლიქტზე რეაგირების ჯგუფის“ ხელმძღვანელს თეიმურაზ პოპიაშვილს ტელეფონის შემდეგ ნომერზე: 555 54 04 74.

გაზეთი „შირაქი“ ბუნებრივი კატაკლიზმების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაერთო!

რამდენიმე დღის წინ საქართველოს მასტაბით პროგრამის „საქართველოს რეგიონებში კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და ზეგავლენის შერბილების ზომების ინსტიტუციონალიზაცია” ფარგლებში სამეცნიერო -ჟურნალისტური მედიატური განხორციელდა. პროგრამა ხორციელდება საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი გახლდათ თამარ ბაგრატია. აღნიშნულ პროექტში როგორც ექსპედიციური ჯგუფის ერთ-ერთი წევრი გაზეთი „შირაქის“ დირექტორი ინგა შიოლაშვილიც გახლდათ მიწვეული. მედიატურში ჩართული იყო ოცდაათამდე ჟურნალისტი, რომელთა ძირითადი ნაწილი რეგიონალური მასმედიის წარმომადგენლები გახლდნენ. აქ იყვნენ ფოთის,ქუთაისის, ბათუმის, ოზურგეთის,ზუგდიდის, ლაგოდეხის, გორის ტელე-რადიო და პრესის წარმომადგენლები. სამდღიანი მედიატური საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა. ეს გახლდათ ტური, როდესაც საკუთარ ქვეყანას სულ სხვა კუთხით შეიგრძნობ. სხვა თვალით აკვირდები სამყაროს და სამუშაო პროცესის გარდა ვიზიტის მთელი ხიბლიც სწორედ ამაში მდგომარეობდა. ჩვენ ვნახეთ ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიები, სადაც სავალი ბილიკებით საკმაოდ დიდი ტერიტორია გავიარეთ, ასევე მოვინახულეთ ბორჯომ- პარკის ტერიტორია, რომელიც ზამთრის პირობებში სრულიად სხვაგვარად გამოიყურებოდა, ვნახეთ აბასთუმნის დაცული ტერიტორიები და აბასთუმანის ობსერვატორია, სადაც გვიმასპინძლა და ობსერვატორიის ისტორიისა თუ მიღწევების შესახებ გვესაუბრა მეცნიერ- მკვლევარმა შოთა ინასარიძემ. ასევე ვიყავით გორში და მოვინახულეთ ჩვენთვის ლექსებიდან ცნობილი ეგრეთწოდებული კარალეთი, რომლის 200 ჰექტრამდე ქარსაფარი ზოლების ტერიტორია ჩვენდა საგანგაშოდ სრულიად მოშიშვლებული დაგვხვდა. მოვინახულეთ უფლისციხე, არა იმ კუთხით, რომ იქ გახლდათ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე-მეხუთე საუკუნის ისტორიული ძეგლი, არამედ ვნახეთ ის, რაც ალბათ იშვიათმა ადამიანმა იცის, ჩვენი ექსპედიციის გეოლოგის გიორგი დვალაშვილის დახმარებით გავეცანით ისტორიას, თუ როგორ ჩარეცხა მდინარე მტკვარმა თავისი კალაპოტი, როგორ შეიცვალა მიმართულება და აქედან გამომდინარე რა საფრთხეები შეუქმნა 150 კომლიან სოფელს და თვით უფლისციხის ალესილ კლდეებს. ჩვენ ვნახეთ სწორედ ის ნასოფლარი უფლისციხის ძირში, რომელიც დღეს უკვე ნანგრევების სახითაა შემორჩენილი. ფაქტიურად ექსპედიციის მიზანიც ის გახლდათ, რომ ჟურნალისტებს დაგვენახა ის საფრთხეები, რასაც ბუნებრივი კატაკლიზმები უქმნის გარემოს. ჩვენი მიზანია ამჯერად საზოგადოება ჩავაყენოთ საქმის კურსში და დავანახოთ საფრთხეები, გავზარდოთ ამ საფრთხეების შეძლებისდაგვარ შემცირებაში და თავის არიდებაში ჩვენი საზოგადოების ჩართულობა და ინფორმირებულობა. მედიატორის ფარგლებში მოვისმინეთ ჟურნალისტიკური კვლევა და ტრეინინგი იმ საკითხებთან დაკავშირებით თუ რომელ რეგიონში რა საფრთხეებიგველის. მათ შორის გამოიკვეთა ჩვენი რაიონის, კერძოდ შირაქის პრობლემაც, კვლევის შედეგი ასეთია, ბოლო 50 წლის მანძილზე 0,6 გრადუსით მოიმატა ტემპერატურამ დედოფლისწყაროში, ხოლო ნალექების რაოდენობა 6,0%-ით შემცირდა. გეოლოგების კვლევების შედეგების ნიხედვით, დედოფლისწყაროში ცხელი დღეები 54-72 დღემდე გაიზარდა, ხოლო ქარების რაოდენობამ 5-ჯერ მოიმატა. ვარაუდობენ, რომ შესაძლოა, მოსალოდნელმა ტემპერატურის მატებამ 50 წლის შემდეგ დედოფლისწყაროში წყლის დეფიციტი შექმნას. ასეთივე პრობლემაა თითქმის ყველა რეგიონში, მგრძნობიარე სეგმენტს წარმოადგენს ასევე სვანეთი, სადაც მყინვარების შემცირების აშკარა სხვაობა იკვეთება, კვლევების შედეგებით დასტურდება, რომ შესაძლოა 2050 წლისთვის სვანეთში არცერთი მყინვარი აღარ იყოს, რასაც არსებული და მოსალოდნელი ცხელი დღეების მატება და ტემპერატურის მკვეთრი ცვლილება განაპირობებს. ვფიქრობთ ამ ვიზიტის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის მიღებისთვის ჩვენი მკითხველიც გამოხატავს დააინტერესდებას. ამიტომ ამ ტურის ირგვლივ დაწვრილებით ინფორმაციას გაზეთ „შირაქის“ შემდეგ ნომრებში მოგაწვდით. შემდეგში ჩვენ ვისაუბრებთ კარალეთის პრობლემებზე, აბასთუმნის ობსერვატორიის პრობლემებზე და იმ საკითხებზე თუ რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ არსებული კატაკლიზმები.

ლალი მეხრიშვილი

ერთი დღე „სპექტრში“

(მეოთხე გვერდიდან)

ყველაზე ძალიან მიყვარს.

ნანა კირვალიძე - **მშობელი:** მე ჩემი შვილობილი ნიკოლოზ ჩიტიშვილი 1-ლი კლასიდან დამყავს „სპექტრში“. ბავშვს აქ დახვდა საოცრად თბილი გარემო,რის გამოც მას სკოლიდან ძალიან მოუხარია აქ.პედაგოგები დიდი გულისხმიერებით ამეცადინებენ სკოლის გაკვეთილებს.მეცადინეობის შემდეგ კი ბავშვები საკმაო დროს უთმობენ გართობას და ინტელექტუალურ თამაშებს. ნუნუ მასწავლებელი ხშირად უმასპინძლდება ბავშვებს ხილით, ტკბილეულით და ნამცხვრებით, რის გამოც ბავშვები უზომოდ კმაყოფილები არიან.

მე ვგეგმავ ჩემი პატარა ბიჭების პირველ კლასში შეყვანამდე და შემდეგაც ვატარო ნიკასთან ერთად ამ ცენტრში.

ნაბა გიგაური **(მოსწავლე):** „ძალიან გვიყვარს „სპექტრში“ ყოფნა. ეს ჩვენი მეორე სახლია.ბავშვები და მასწავლებლები დიდი ოჯახივით ვართ. აქ მარტო სწავლა არ არის...მეგობრებს ვიძენთ. ვცდილობთ პატარებს მაგალითი მივცეთ, ხოლო დიდების კვალს ჩვენ თვითონ მივყვებით.

მთელი დღე მეცადინეობაში ისე გადის, რომ ვერც კი ვამჩნევთ.ყველაზე მთავარი კი მაინც მეგობრული ატმოსფეროა. აქ სწავლასაც სულ სხვა ხალისი და ნაყოფი აქვს.

ბევრი კარგი რამ ხდება.ერთს გავიხსენებ:გასულ წელს გვქონდა წიგნის ფორმის ყულაბა,მივაკარით წარწერა“ენის სიწმინდისთვის“ და თუ საუბარში რამეს არაგრამატიკულად ვიტყოდით ან ბარბარიზმს ვიხმარდით,მასში ოც თეთრს ვაგდებდით. კარგა ხანს გრძელდებოდა ასე. შეგროვილი თანხა (200 ლარზე მეტი) ბავშვების ინიციატივით სოფელ გამარჯვებაში ეკლესიის მშენებლობას შევწირეთ.

ლიკა ტოკლიკიშვილი **(ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი):** „დამეთანხმებით, პროფესიის სწორად შერჩევა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ადამიანის ცხოვრებაში.მე ამ გადაწყვეტილების მიღებაში „სპექტრი“დამეხმარა. წარმატებისაკენ გზა სასწავლო ცენტრმა გამიკვალა.მის მხარდაჭერას ამჟამადაც ვგრძნობ.

ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში მეორე კურსზე სწავლობს დედოფლისწყაროელი გიორგი ელიზბარაშვილი. მის არჩევანშიც „სპექტრის“ ხელი ურევია. ვიცი,რომ გიორგიც ძალიან კმაყოფილია.

გიორგი ყოჩიაშვილი **(თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი):** „სპექტრი“ ინოვაციურია. განსხვავდება სხვა სასწავლო დაწესებულებებისგან. ზიხარ შენთვის ჩუმად, წერ. თითოეული მეცადინეობა საგამოცდო პირობებშია, ეჩვევი, მშვიდდები. რეალურ გამოცდაზე აბსოლუტურად უკომპლექსოდ გადიხარ და ავლენ მიღებულ ცოდნას.

სასწავლო ცენტრში მეცადინეობის გარდა კარგია ისიც,რომ ეცნობი და უმეგობრდები თანატოლებს სხვა სკოლებიდან.

მიხარია,რომ „სპექტრის“ყველა აბიტურიენტი ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებლებში.

თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში „სპექტრიდან“ ჩემს გარდა სწავლობენ პაატა კიკილაშვილი და ანი ბიღიაშვილი.

გვანცა და ნინო მახარაშვილები - **(სპექტრის მოსწავლეები):** ჩვენ გერმანულს ნელი ხარაზიშვილი გვასწავლის გვასწავლის და გვაქვს სურვილი, რომ მომავალში სწავლა ცენტრმა „სპექტრმა“ მუშაობა კიდევ დიდი ხანი გააგრძელოს,რათა კიდევ ბევრმა ბავშვმა მიიღოს კარგი განათლება,როგორც სასკოლო საგნებში,აგრეთვე სხვა დამატებით აქტივობებში.

მარიამ ბოსტოღანაშვილი **(ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი):** „ბავშვებს ვუსურვებ, ისეთივე წარმატებული იყოს სასწავლო ცენტრში გატარებული დრო, როგორიც ჩემთვის აღმოჩნდა ორი წლის წინ. აქ შექმნილმა გარემომ სათანადო ცოდნის მიღების გარდა ფსიქოლოგიურად შემამზადა, ადვილად გადამატანინა ეროვნული გამოცდების წინა პერიოდი.

„სპექტრს“ ვუსურვებ, კვლავაც ბევრჯერ ეამაყოს თავისი აბიტურიენტების მიერ მიღებული მაღალი ქულებით.

თიკა გულაშვილი **(N1 საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელი):** „სპექტრში“ თითქმის ორი წელია დავდივარ. ძალიან კმაყოფილი ვარ აქ მიღებული ცოდნით და გამოცდილებით. სასწავლო ცენტრი დამეხმარა, მომეხდინა საკუთარი თავის რეალიზება, რაც 2013 წლის ზაფხულში GLOW-ს ბანაკში მოხვედრის საწინდარი გახდა.2014 წლის აპრილში სასწავლო ცენტრის რეკომენდაციით მივდივარ არასამთავრობო ორგანიზაციის ICPI-ის პროექტში მონაწილეობის მისაღებად.გასული წლის აგვისტო-სექტემბერში მშვიდობისა და ინტეგრაციის ამ საერთაშორისო ცენტრის პროექტში „სპექტრიდან „ წარგზავნილები იყვნენ გიორგი ყოჩიაშვილი და გიგა ჯანყარაშვილი.

ასე დამთავრდა ერთდღიანი ექსკურსია სასწავლო ცენტრ“სპექტრში“, დღე, რომელიც ძალიან ნაყოფიერი და მრავლისმომცველი აღმოჩნდა. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ქალბატონ ნუნუს და მის გუნდს ვუსურვოთ, რომ კიდევ უამრავი წარმატების მოტანა შეძლონ ჩვენი რაიონის მომავალი თაობებისთვის.

ელზა ხარაშვილი

ოჯახური ძალადობის საზარელი ამბავი ზემო ქედში

„კარებს უკან ამოფარებულმა მეუღლემ პირდაპირ „ლაფატკა“ ჩამარტყა და თავი შუაზე გადამიჩეხა.“

„მამაჩემი ტყეში შეშაზე ძალით გვაგზავნიდა, თუ არ წავიდოდით ჯოხით გვცემდა, ზურგი სულ ჩალურჯებული დაგვქონდა, ბავშვობიდან სულ გვირტყამდა.“

რედაქციაში შავებიანი ქალბატონი მოვიდა, ჟურნალისტი იკითხა და თავისი გასაჭირის მოყოლა დაიწყო. რესპოდენტი თავდაპირველად სოციალურ გაჭირვებაზე საუბრობდა და გამგეობისგან ბინის ქირის გადახდას ითხოვდა. ჩვენს მიერ დასმული კითხვების შედეგად ისეთი ფაქტები მოგვიყვა, რომ აშკარა იყო, ოჯახური ძალადობის მძიმე შემთხვევასთან გვქონდა საქმე. მსხვერპლი მარტო არ გახლდათ, მას ახლობელი ახალგაზრდა გოგო და თავისი 13 წლის ქალიშვილი ახლდა, რომელიც დედასთან ერთად ოჯახის უფროსის ძალადობაზე დაუფარავად საუბრობდა. მონაყოლიდანვე იკვეთებოდა, რომ მოძალადე მეუღლის და მამის მსხვერპლები თავად მისი ხუთივე შვილი გახლდათ. გაგონილმა გაოგნებული დამტოვა, ოჯახურ ძალადობაზე უამრავი სტატია დამიწერია, მაგრამ არ მეგონა, თუ ოცდამეერთე საუკუნეში ასეთ მძიმე შემთხვევასთან კვლავ მექნებოდა საქმე. უპირველესად ჩემს წინ იჯდა 44 წლის ქალბატონი, რომელიც ქმრისგან აუტანელ ცემაზე საუბრობდა. —„სოფელ ზემო ქედში მეუღლესთან ერთად ვცხოვრობდი, შვიდი შვილის დედას მხოლოდ ხუთი შვილი მყავს სახეზე, ორი შვილი ფეხმძიმობის დროს ქმრის ცემის შედეგად დამბლიანები დამებადა, წელიწადი და რვა თვე იცხოვრა ჩემმა ერთერთმა შვილმა, არც კბილები ამოუვიდა, ვერც ცალი ფეხი და ხელი აუმოძრავდა და წლის და რვა თვის ბავშვი მხოლოდ სამი კილო და რვაასი გრამი იყო, როცა გარდაიცვალა.“ - ამბობს ქალბატონი დოდო ბეჟიტაშვილი და ჩანთიდან გარდაცვლილი შვილის მოზრდილ ფოტოს იღებს. მძიმე მოსასმენი გახლდათ.

- „მამაჩემი ბავშვობიდან ისე გვცემდა ჯოხით, რომ ზურგები სულ დალურჯებული გვქონდა, ფიზიკური შეხების გარდა, დაგვცინოდა, ტყიდან შეშას გვაზიდვინებდა, წყალსაც ჩვენ ვეზიდებოდით მუდამ, ერთხელ საავადმყოფოდან ფილტვების ანთებით ახალი გამოსული ვიყავი, რომ მეორე დღეს მითხრა: წადი ტყეში და შეშა მოიტანეო, რომ ვუთხარი მე ვერ წავალ, კიდევ ცუდად გავხდები- მეთქი, ჯოხი გადამიჭირა, როცა გვცემდა და დედაჩემს ჩვენი შველა უნდოდა, არ აძლევდა ამის საშუალებას და დედასაც სცემდა, არავის ინდობდა, სულ სვამდა, მარტო ფულს ითხოვდა ჩვენგან,მუდამ გაჭირვებული ცხოვრება გვქონდა, ჩვენგან და დედასგან რა ფულს ითხოვდა, პირიქით რომ თავად ეზრუნა ამაზე, ჩვენგან ითხოვდა უსამართლოდ,“-დათრგუნული და ანერვიულებული ყვებოდა დაახლოებით ცამეტი-თოთხმეტი წლის მშვენიერი აღნაგობის გოგონა, რომელიც ქალბატონ დოდოს თან ახლდა.

-„ერთხელ ჩემი ბიჭი ცხენის ტაჭკაზე თავდაყირა დააბა და ცემა დაუწყო, მეზობლებმა რომ დაინახეს, შემოცვივდნენ, რას შვრებიო შემოუძახეს, მაგრამ ყველა გაყარა, ჩემი შვილია და თქვენ ვინ გკითხავთო, რასაც მინდა იმას ვუზამო, თოფი ქონდა და თოფით გვემუქრებოდა ყველას, ერთხელ იმ თოფით მეზობელს ღორიც კი მოუკლა და საციხე თავი გაიხადა, ჩამოართვა არხილისკალოს პოლიციამ თოფი, მაგრამ მალევე უკან დაუბრუნეს, ჩვენ ვითხოვდით, რომ ეს არ დაეშვათ, რადგან გვაშინებდა, მაგრამ მაინც დაუბრუნეს, თანაც გასაფორმებელი თოფი იყო. დღემდე ამ თოფის შიში გვაქვს. ცალკე ვართ, მაგრამ ბავშვებს სულ ელანდებათ, რომ მამამისი იპოვით და თოფით მოგვივარდება!“-გვიყვება ქალბატონი დოდო.

-„ერთხელ, დიდი ჩხუბის მერე, დედა სახლიდან გააგდო, როგორც გავიგეთ დედამ საგარეჯოში ნათესავთან შეაფარა თავი, ისე გვამწარებდა, ერთ ღამეს გამოვიპარეთ შვილები და შირაქის გადასახვევამდე შუაღამისას ფეხით ჩავედით, რომ რამეს გავყოლოდით და დედამდე მივსულიყავით, ისეთ დღეში გვყრიდა იქ გაჩერება აღარ შეიძლებოდა, გამორიცხული არ იყო ნებისმიერ დღეს შემოვკვდომოდით რომელიმე, ამიტომ მოვთხოვეთ დედას, რომ იქიდან თავი გამოგვეფარებინა, მასთან ცხოვრება უბრალოდ გაუსაძლისი და დაუშვებელია.“-ამბობს გოგონა.

-„სოფელში გამგებლის რწმუნებულს ვთხოვე დამხმარებოდა და ეშუამდგომლა, რომ როგორმე იქიდან გამოგვეღწია, მართლაც დაგვეხმარა და სოფელ წითელწყაროში რაიონის გამგეობამ ბინა გვიქირავა. ამაზე მადლობლები ვართ, დავისვენეთ ცოტა ხანს, მაგრამ იქაც მოგვაგნო, მიუხედავად იმისა, რომ შეგნებულად ერთ მიკარგულ ადგილას ვიქირავეთ ბინა, მაინც გვიპოვა, გცემა და გვემუქრებოდა. მერე კი ბინის მეპატრონეს იმდენი ელაპარაკა, სახლიდან დაათხოვინა ჩვენი თავი. ასე დავრჩით კიდევ უსახლკაროდ, ამჟამად სამოწყალოდ ღვთისნიერმა ახლობელმა შეგვიფარა, ჩვენს ადგილსამყოფელს აღარ ვამბობთ, რათა არ მოგვაგნოს და კიდევ არაფერი დაგვიშავოს, გვინდა კიდევ დაგვეხმაროს გამგეობა და ისეთ ადგილას დაგვიკავოს ბინა, სადმე შორს, რომ ვეღარ გვიპოვოს, თორემ ბავშვები სულ შიშში ვეღარ უძლებენ ცხოვრებას. ის თავს არ გაგვანებებს, სოციალურ დახმარებას რომ ვიღებთ, აბარებს ვიღაცეებს, რომ იმ თანხიდან 30 ლარი გავუგზავნოთ ხოლმე, ჯერ ის დახმარება რა არის, ან როგორ ვირჩენთ თავს და იმასაც გვძალავს, ახლაც შემოუთვლია, შეშის დახმარებას რომ აიღებთ, მე გამომიგზავნეთო, სოფლის მაღაზიაში ფქვილის ვალი მქონდა დარჩენილი 28 ლარი, ავტობუსის მძღოლს გავატანე, 25 ლარი ჩემს ქმარს მიეცით და 28 ლარი ფქვილის ვალი გადაიხადეთ -მეთქი, ორივე თანხა გამოურთმევია ჩემს ქმარს და დაუხარჯავს, მე კი მაღაზიის მეპატრონე კვლავ მირეკავს ფული გამომიგზავნეო, რაღა გავუგზავნო?!“

ქალბატონი დოდო იმასაც ყვება, თუ როგორ გადაუჭირა თავში ლაფატკა კარებს უკან დამალულმა მისმა მეუღლემ მორიგი ცემის დროს და როგორ გადაეჩეხა თავი, რომელიც ძლივს მოირჩინა.

ჩვენი მსხვერპლის და მისი შვილის თქმით მათ არხილოსკალოს პოლიციის განყოფილებას დახმარებისთვის არაერთხელ მიმართეს, პოლიციამ არაერთხელ გააფრთხილა კიდეც, თუმცა უშედეგოდ, მსხვერპლის თქმით მის მეუღლეს არც იმ პოლიციის ეშინია.-„ ამბობდა, რომ ყველას იცნობს, ჩემი ახლობლები არიან და არაფერს დამიშავებენო და ამით გათამამებული კვლავ გვცემდა.“-ყვება დოდო ბეჟიტაშვილი.

ჩვენ დავუკავშირდით ასევე გამგებლის რწმუნებულს სოფელ ზემო ქედში ბეჟან სუხაშვილს და ვკითხეთ, იცოდა თუ არა ეს ოჯახი და რამდენად ფლობდა ინფორმაციას მათი კონფლიქტების შესახებ. ბატონმა ბეჟანმა დაადასტურა, რომ ამ ოჯახს კარგად იცნობდა, მათი პრობლემების შესახებაც იცოდა და ისიც აღნიშნა, რომ არც მისთვის და არც გარშემომცხოვრები მეზობლებისთვის უცხო არ იყო ამ ოჯახში განვითერებული მოვლენები, ცემა, ჩხუბი და ასე შემდეგ. მანვე აღნიშნა, რომ სწორედ არხილოსკალოს პოლიციის თანდასწრებით არაერთხელ მისულან ოჯახში და გაუფრთხილებიათ, დაურიგება მიუციათ, თუმცა უამრავი მცდელობის მიუხედავად კომპრომისს ვერაფრით მიაღწიეს. ამასთან სუხაშვილი ჩვენთან საუბარში არ გამორიცხავდა ორივე მხარის, - (ცოლისა და ქმრის) ბრალეულობას. მისი თქმით აქ ორივე მხარის შეუთავსებლობა გახლდათ.

-ხსენებული ოჯახის კონფლიქტური სიტუაციის შესახებ ინფორმაციას ვფლობ,მაგრამ აღნიშნულ სიტუაციაში კომპრომისი არ გამოინახა, მე და პოლიციის რწმუნებული გოჩა აფციაური ხუთჯერ მაინც ვართ მისული ამ ოჯახში, ვურჩიეთ, დავარიგეთ, მაგრამ არაფერმა არ გასჭრა, უბრალოდ მათი ერთად ცხოვრება დაუშვებელია. ასე, რომ ქალბატონის პრობლემა რეალურია და იმასაც დავძენ, რომ არაერთხელ დავეხმარეთ. ამ შემთხვევაში ოჯახის დანგრევა ყველაზე საუკეთესო გამოსავალი გახლდათ, ეს ბავშვები აქაურობას უნდა გასცლოდნენ, ვწუხვარ, რომ ვარაფერი მოვახერხეთ, რომ სიტუაცია დარეგულირებულიყო.-აცხადებს ბეჟან სუხაშვილი.

-ბავშვიც კი ამბობს, რომ შვილებს ჯოხით ზურგს ულურჯებდა, განა ეს შეიძლება მამას გამამართლებლად ჩაეთვალოს?!

- არა, რა თქმა უნდა, მე ამ საქციელს არასოდეს გავამართლებ - ამბობს გამგებლის რწმუნებული სოფელ ზემო ქედში ბატონი ბეჟან სუხაშვილი.

-რა გამოსაცალი შეიძლება მოინახოს და რით შეიძლება დაეხმაროთ მსხვერპლს?

-ვერაფერს გეტყვით, ქალბატონი შვილებით ამჟამად წასულია, სოფელს რაიმე სახის ბიუჯეტი არ გააჩნია, რომ დავეხმაროთ, თუ რაიონის ხელმძღვანელობა სახსრებს გამონახავს და ამ ბავშვებს და დედას ცოტა ხნით მაინც ცალკე აცხოვრებს, თუნდაც სხვა რაიონში, რომ ბავშვები ცოტა დამშვიდდნენ, ამაზე უკეთესი არაფერი იქნება, აცხადებს სუხაშვილი.

აღნიშნულის შესახებ „შირაქი“ დაუკავშირდა ძალადობისგან დაცვის ეროვნულ სააგენტოს როგორც სამთავრობო ორგანიზაციას, ასევე ძალადობისგან დაცვის არასამთავრობო ქსელს და მოვითხოვეთ, თუ რამდენად შეეძლოთ დახმარებოდნენ ასეთი მძიმე მდგომარეობის დროს ქალბატონს ხუთი შვილის თანხლებით და რა გამოსავალი არსებობს მათთვის.

-უპირველეს ყოვლისა ამ ქალბატონის საქმე უნდა იქნას შესწავლილი, უნდა გამოიკითხოს მეზობლები, სოფლის რწმუნებული, რომლებიც ნამდვილად დაადასტურებენ ამას. უნდა შევხვდეთ ამ ქალბატონს, რომელზეც გამორიცხული არაა და ალბათ აუცილებელიც, რომ პოლიციის ან სასამართლოს ჩარევით მიენიჭოს სტატუსი, ანუ, საქმე გარკვეულწილ პროცედურებს მოიცავს და დოკუმენტაციის შედგენას ითვალისწინებს.-აცხადებს ჩვენთან საუბარში ძალადობისგან დაცვის ეროვნული ეროვნული სააგენტოს იურისტი მანანა ფურცხვანიძე.

- მინდა დაგიდასტუროთ, რომ სიტუაცია მართლაც მძიმეა და ამას სოფლის რწმუნებულიც ადასტურებს, მართლა მაინტერესებს გარდა იმისა, რომ იურიდიულ და ფსიქოლოგიურ საუბრებს ჩაუტარებთ მსხვერპლს, პოლიციის ან სასამართლოს მიერ სტატუსის მინიჭების შემთხვევაში, რა დახმარება შეუძლია თქვენს ორგანიზაციას, შეიფარებთ თუ არა სტატუსის მქონე მსხვერპლს?!

-სტატუსის მინიჭების შემთხვევაში, ჩვენ ვალდებული ვართ მივიღოთ მსხვერპლი და თავშესაფარი მივცეთ, თუმცა მინდა გითხრათ, რომ ადგილების დიდი კრიზისია და ძალიან მწირი შანსი გვაქვს, რომ მსხვერპლს თავშესაფარი მივცეთ, თითქმის გადაჭედილია თავშესაფრები.

-გმოდის, რომ სტატუსის მინიჭებისთვის ბრძოლასაც აზრი არ ჰქონია, ქალბატონს თქვენი კონსულტაციით მაინც თუ გაამხნევებდით.

-ჩვენ აუცილებლად დავუკავშირდებით ამ ოჯახს, შევისწავლით მდგომარეობას, თუმცა უკეთესი იქნება პოლიციის და ადგილობრივი ხელმძღვანელობის ჩართვა ამ საკითხში. უნდა დავეხმაროთ და შუალედური ხაზი მოიძებნოს, რათა, როგორც დედა, ასევე ბავშვები აუცილებლად გადავარჩინოთ.

ჩვენო მკითხველო, ალბათ ხედავთ, რომ მდგომარეობა, რომელიც ზემოთ მოგიყევით მართლაც საგანგაშოა, რაზეც ყველამ ხმა უნდა ავიმაღლოთ. ხედავთ, რომ პრესამ გამოვაცხადეთ და ხმა ავიმაღლეთ, ამჯერად ჯერი პოლიციასა და ადგილობრივი ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელობის ქმედებაზეა. ნუ მივატოვებთ ჩვენს გვერდით მცხოვრებს. იმედს ვიტოვებთ, რომ, თუ ყველა ერთად დავდექით და შეთანხმებულად ვიმუშავეთ, ჩვენთვის ყველა სირთულე დაიძლევა, მათ შორის ძალადობაც, რომელიც ჩვენდასავალალოდ ხშირად მსხვერპლით სრულდება. ხმა ავიმაღლოთ, თორემ მერე გვიან იქნება!

ლალი მეხრიშვილი

მადლიერება

წლებია, რაც „ტაოპრივატბანკის“ ბენეფიციალი ვარ, აქ ვიხდი ყველა კომუნალურ გადასახადს, განვადების პროცენტებს. ვსარგებლობ სხვადასხვა სერვისის მომსახურებით. ალბათ, არც ერთი ბანკი უარს არ გვეტყვის და მოგვემსახურება, მაგრამ აქ რომ ღიმილით შეგხვდებიან, ახლობლურ გარემოს შეგიქმნიან და მოგემსახურებიან, ბევრი ვერ დაიკვეხნის. მე მათი მომსახურებით ძალიან კმაყოფილი ვარ და მინდა გაზეთის ფურცლებიდან მადლობა გადავუხადო მათ ასეთი ადამიანური და მაღალპროფესიული მომსახურებისათვის. თითოეულ მათგანს ვუსურვებ ჯანმრთელობას, უფლის წყალობას და წარმატებებს სამსახურებრივ საქმიანობაში.

ცისანა ქიმაძე

მადლიერება

ვარ პირველი ჯგუფის ინვალიდი, მარტოხელა დედა, სოციალურად გაჭირვებული და ჩემი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე ხშირად ზრუნავს ჩვენი რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ზაზა კედელაშვილი. ის არასოდეს გვტოვებს უყურადღებოდ არც საერო და არც საეკლესიო დღესასწაულებზე, შეძლებისდაგვარად გვეხმარება ეკონომიურად, რაც ჩემთვის შვებასთან ერთად ცხოვრების სტიმულიც არის. ჩემი და ჩემი შვილის გიორგი ტუხაშვილის სახელით დიდ მადლობას ვუხდი ბატონ ზაზას, ვულოცავ განვლილ დღესასწაულებს და იმედი მაქვს, რომ არც ამ წელს დაგვტოვებს უყურადღებოდ.

მაია ტუხაშვილი

სიგნალი

გამოკვლევით დადგინდა, რომ რაიონის სასოფლო-სამეურნეო თავთავიანი კულტურების აღმონაცენს აზიანებს მინდვრის თაგვი. იგი შეინიშნება ერთეულის სახით. ამინდური პირობები ხელსაყრელია მისი შემდგომი გამრავლებისათვის, საჭიროა მის წინააღმდეგ ჩაატაროთ ბრძოლის ღონისძიება, თუთიის ფოსფოდზე დამზადებული შხამ-მოსატყუებელი მასალა. აღნიშნული პრეპარატი შეგიძლიათ შეიძინოთ რაიონის შხამ-ქიმიკატების მაღაზიებში.

მცენარეთა დაცვის სპეციალისტი - ილია ზურაშვილი

მადლიერება

წინასაახალწლო დღეებში სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მოსწავლეები საქველმოქმედო აქციის ფარგლებში იმყოფებოდნენ კახეთის ბაისუბნის ბავშვთა სახლში. სამოქალაქო განათლების კლუბის წევრებმა დახმარება სთხოვეს დედოფლისწყაროს გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს ბატონ გივი გიგაურს, მოადგილეს აკაკი ნატროშვილს და საკრებულოს თავმჯდომარეს ლევან ნატროშვილს, რომ უზრუნველეყო ბავშვების ტრანსპორტირება, მათ გამოგვიყვეს ტრანსპორტი და საწვავი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსის თამარ თამაზაშვილის ძალისხმევით გამოგვიყვეს თანხა, რომლითაც შევიძინეთ საჩუქრები და ბავშვების მიერ შეგროვილ საჩუქრებთან ერთად გამგეობის წარმომადგენელმა ნონა ნატროშვილმა გადასცა ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს.

სამოქალაქო კლუბის მოსწავლეები მადლობას გიხდით თქვენს მიერ შეტანილი წვლილისა და თანადგომისთვის, ასევე გვინდა მადლობა ვუთხრათ მასწავლებლებს: მარიკა პოპიაშვილს და ჯუნა შეითნიშვილს, რომლებმაც განგვახორციელებინეს ეს კეთილშობილური საქმიანობა.

ხორნაბუჯის სკოლის სამოქალაქო კლუბის მოსწავლეები.

1 თებერვალი – ხსენება წმიდა ანტონ მარტყოფელისა

წმიდა ანტონ მარტყოფელი ედესაში მოღვაწეობდა, სადაც იესუ ქრისტეს ის ხელთუქმნელი ხატი იყო დაცული, რომელიც თვითონ იესუ ქრისტემ გაუგზავნა ედესის მეფე ავგაროზს. ხატი ქალაქის კარიბჭის თავზე აღმართა მეფემ და იგი ქალაქის მფარველ სიწმიდედ იქცა. ავგაროზის შვილიშვილმა, რომელმაც უარყო ქრისტე, გადაწყვიტა გაენადგურებინა ხატი. ედესის ეპისკოპოსმა იმავე გალავანში გადამალა ხატი, წინ ანთებული კანდელი დაუდო და ამოაშენა.

540 წლის ახლო ხანებში როდესაც სპარსელებმა ქალაქის ასაღებად გალავნის დანგრევა გადაწყვიტეს, ღმრთისმშობელმა ედესის ეპისკოპოსს აუწყა ადგილი “რომელსამე ბჭესა ზედა არს ხატი იგი ხელთუქმნელი და დაფარული” და ეპისკოპოსმაც იპოვა ხატი. ხანგრძლივი დროის მიუხედავად მის წინ კანდელი კვლავ ენთო, ხატის სახე კი მასზე დაფარულ კეცის პირზე გადასულიყო სასწაულებრივად.

წმიდა ანტონმა კეცისპირზე გამოსახული ხატი, რომელიც იესუ ქრისტეს მიერ ავგაროზისადმი გაგზავნილი ხელთუქმნელი ხატის “სწორებით პატივიცემოდა” წამოაბრძანა საქართველოში.

იოვანე ზედაზნელის კურთხევით ანტონმა, რომელსაც “ეპყრა ხელსა შინა თვისსა წმიდა ხატი უფლისა, რომელიც აქუნდა მას მარადის”, ქადაგებით მოიარა ზედაზნის ახლომახლო ადგილები, შემდეგ კი “წარვიდა საქადაგოდ კახეთს”. ის ჯერ იყალთოში ჩავიდა ზენონთან, შემდეგ იოსებთან დაჰყო რამოდენიმე ხანი ალავერდში, ბოლოს კი “დაემკვიდრა ხევსა შინა ლიპოტანისასა”. ანტონმა ქადაგებით მოიარა “ყოველი სანახები მის ადგილისანი” მოწაფეებიც გაიჩინა, რომლებიც ანტონთან ერთად “დაემკვიდრებოდნენ მას ღელესა შინა”.

უკაცრიელ ადგილას დამკვიდრებულ მოღვაწესთან ყოველ საღამოს მიდიოდნენ ირმები და თავიანთი რძით კვებავდნენ. ერთ საღამოს ირმები ადრე მივიდნენ დაფეთებულნი. უკან დაჭრილი ნუკრი მისდევდათ. მალე ირმებს უკან მონადირე მიჰყვა, რომელიც მახლობელი დაბის მამასახლისი აღმოჩნდა.

გაოგნებულმა მონადირემ დაინახა მხცოვანი მონაზონი, რომელსაც გულზე ხატი ეკიდა და ისე იდგა ირმების ჯოგში. მამასახლისის ბრძანებით ანტონი შეიპყრეს და როგორც “გრძნეული” მჭედელთან წაიყვანეს ხელის მოსაჭრელად. მჭედელმა შანთი გაახურა, მაგრამ, როგორც კი აღმართა წმიდა მამის ხელის მოსაჭრელად, “დავარდა ქუე და ხელნი, ვითარცა შეშანი შეექმნნეს”. მომხდარით გაოგნებულ მჭედელს ენა ჩაუვარდა, ანტონმა კი მას ჯვარი გადასახა და განკურნა. მამასახლისი მიხვდა, რომ მის წინაშე ღმრთის მადლით შემოსილი კაცი იდგა, თაყვანი სცა და შეევედრა: „რა გნებავს სთქუ და ყოველი მიგცე“. ანტონმა ქვამარილის ნატეხი ითხოვა. ღირს მამას მაშინვე მარილის ორი ლოდი მიართვეს. მან მხოლოდ მცირეოდენი ჩამოტეხა და კვლავ თავის სადგომს მიაშურა, ქვამარილი კი სენაკის ახლოს დადო ირმებისათვის.

წმიდა ანტონის სანახავად და მისგან კურთხევის მისაღებად უამრავმა ხალხმა დაიწყო სიარული, ზოგმა კი მონაზნური ცხოვრება აირჩია და მასთან დარჩა სამოღვაწეოდ.

მამა ანტონ მარტყოფელმა მონასტერი ააშენა ძმებისათვის, თვითონ კი “დაუტევა მონასტერი თვისი, მოვლო ქვემო კახეთი ქადაგებით და დაემკვიდრა უვალსა მთასა ზედა ახეტას”. აქაც მომრავლდა ხალხი მის გარშემო. ანტონს კი განმარტოებით სურდა მოღვაწეობა და საბოლოოდ დაემკვიდრა “მთასა აკრიანისასა”, რომელსაც ამჟამად მარტყოფი ენოდება — წმიდა ანტონის მარტომყოფელობითი მოღვაწეობის პატივსაცემად.

წმიდა ანტონმა აკრიანში მაღალი სვეტი ააგო, სვეტზე დაეყუდა და იქ მოღვაწეობდა თხუთმეტი წლის განმავლობაში.

ღირს ანტონს უფლისაგან წინასწარ ეუწყა ამქვეყნიდან განსვლის დღე, მოუწოდა მოწაფეებს, აკურთხა ისინი, გამოემშვიდობა და ლოცვისთვის განმარტოვდა. რამოდენიმე ხანში მოწაფეებმა ნახეს მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის წინ მუხლმოყრილად აღსრულებული წმიდა ანტონი.

მონატრება

დარეჯან ბეგიაშვილი

1 თებერვალი შენი დაბადების დღეა. 36 წელი შეგისრულდებოდა ჩვენო ძვირფასო შვილო, მაგრამ უკურნებელმა სენმა წაგვართვა შენი თავი. 7 თვეა, რაც უშენოდ გრძელდება სიცოცხლე და ცხოვრება ჩვენს ოჯახში. თუმცა, ეს ჯოჯოხეთური სიცოცხლეა მშობლებისათვის, არ შუშდება შენი დების გულში მიყენებული ჭრილობა და არ შრება მათ თვალზე ჩრემლი. შენი მეუღლის და შვილების თვალებში კი სევდა და მონატრება მუდმივად იგრძნობა. იზრდებიან შენი ობლები შენი ღიმილისა და ალერსის გარეშე.

ყოველ წელს იხდიდი დაბადების დღეს დიდი სიხარულით, დღეიდან კი უშენოდ ცრემლით და დიდი ტკივილით აღინიშნება ეს დღე ჩვენს ოჯახში.ძალიან გვენატრები ჩვენო სიცოცხლით სავსე გოგო, იძინე მშვიდად შენს სამუდამო სასუფეველში, მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მშობლიური მიწა. გპირდებით, სანთელსაკმეველი არ მოაკლდება შენს სულს.

შენი უბედური მშობლები - მარინა და ნიკო, **დები** ხათუნა, ქეთი ბეგიაშვილები. **მეუღლე** კობა, **შვილები** ანა, ნიკოლოზ პოპიაშვილები.

ზაზა პოპიაშვილი

შეუსრულებელ 35 წელს გილოცავ, ჩემო საყვარელო შვილო!

მაგიდაზე, შენი სურათების წინ დანთებული სანთლების ციმციმს და საკმეველის სუნს შენთან ვატან მონატრებას, სიყვარულს, ამბორს და ცრემლიანი თვალებით გეუბნები: „გილოცავ დაბადების 35 წლისთავს იმქვეყნად, ზეცაში, შვილო. მოდის ჩემთვის ყოფილი სანატრელი, სასიხარულო 4 თებერვალი, ცრემლითა და მწუხარებით შეცვლილი.

შენი წასვლით დატოვებულ ტკივილს ვერც 8 წელმა უშველა, შვილო. ისევ ისე მტკივა, ისევ ისე მენატრები და მიყვარხარ, ზაზა. ძნელია შვილზე წერა, როცა იგი მოგონებად არის ქცეული. უზომო სულის ტკივილია უშენობა, ჩემო კეთილო, ალალო, სიცოცხლეზე და ცოლ-შვილზე გულდაწყვეტილო, 27 წლისად დარჩენილო შვილო.

ყველაფერი უფლის ნებაა, ჩვენ ვერაფერს შევცვლით. მისი რწმენით ვახერხებ ამ გაუსაძლისი დღეების გატანას. შენს სახეს და სითბოს ვეძებ შენს შვილში, რომელიც ძალიან გგავს. მახსენდება ჩვენი ერთად ყოფნის 27 წელი. მახსენდება ის უმნიშვნელო დეტალებიც კი, რომელსაც ადრე მნიშვნელობას არ ვანიჭებდი...

დედა მოგიკვდეს, ჩემო ზაზა. უშენობა ჩემი სხეულიდან ამოგლეჯილი გულია, რომელიც შენთან ერთად გაჩერდა. განა შეიძლება, დრომ უმკურნალოს დედის გულს?! ასე რად გაგვიმეტა ცხოვრებამ,შვილო. მინდა, კიდევ ერთხელ ძლიერად ჩაგიკრა გულში, მოგეფერო, ვიგრძნო შენი სითბო და სიყვარული. მინდა დაგიკოცნო ლამაზი თვალები. მიყვარხარ, ტკივილამდე მიყვარხარ, ჩემო სიცოცხლევ.

სიცოცხლის ბედი არ გქონია, შვილო, თორემ სიყვარულის ნიჭი კი მოგცა ღმერთმა. უზომოდ გიყვარდა შენი ოჯახი, შენი საყვარელი მეუღლე ნათია და პატარა ქალიშვილი ლიკა. ლიკა უკვე დიდი გოგოა, 12 წლის არის, შვილო. ხშირად მოვდივართ შენს საფლავზე და ჩუმად რაღაცას გესაუბრება. იმქვეყნიდან დალოცე და დაეხმარე, ზაზა.

ჩემო ზაზა, ჩემო შვილო, შენს სურათთან და საფლავთან სანთელი და საკმეველი არ ჩამქრალა, ლოცვები და ფსალმუნები არ შემწყდარა. მაგრამ ჩემო ნუგეშო, სიცოცხლე და სიხარული ჩაგვიქრა შენს მშობლებს, ცოლ-შვილს და ერთადერთ ძმას. ჩაიფერფლა შვილო და ქარს გაჰყვა ჩვენს გულში ყველა იმედი და ოცნება, მაგრამ მადლობა უფალს, რომ ძალას მაძლევს და ამ საშინელ ტკივილს და მწუხარებას რწმენით და ლოცვით მიმსუბუქებს. ჩემი მწარედ დაღვრილი ცრემლები ცვარად მოგეფინოს ცათა სასუფეველში.

ღმერთო, სამოთხის პატარა ადგილი დაუთმე ჩემს ზაზას, რათა განისვენოს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

შენი მწუხარებით ცრემლშეუმშრალი დედა.

მამა სპარტაკ ლაპიაშვილი, დედა ნათელა აბულაშვილი, ძმა დიმიტრი, და თამარ ლაპიაშვილები იუწყებიან

ოთარ ლაპიაშვილის

გარდაცვალებას.

დაკრძალვა ქალაქ დედოფლისწყაროში, ჰერეთის ქუჩა N49, ბინა 16, 4თებერვალს, 1 საათზე.

მეუღლე მაყვალა მენთეშაშვილი. შვილები: ზურიკო, ბელა. რძალი მარინა ჯორკოშვილი, სიძე მამუკა ქვლივიძე. შვილიშვილები: ილია და მაკა ჯორკოშვილები, ნიცა, ნიკა და ანა ქვლივიძეები. და ანიკო სულაშვილი. ცოლისდა ეკა მენთეშაშვილი, ცოლისძმები, ძმისშვილები, დისშვილები იუწყებიან

ილია ჯორკოშვილის

გარდაცვალებას.

დაიკრძალა 23იანვარს, ქალაქ დედოფლისწყაროში.

დედოფლისწყაროს მუნიციპალური ბიბლიოთეკა სამძიმარს უცხადებს ნინო ბახუტაშვილს დეიდის

ნინოს

გარდაცვალების გამო.

საჭიროა აღდგენილი ქარსაცავი ზოლების მდგრადობის გაძლიერება და ბიომრავალფეროვნების წარმომადგენელთათვის საბინადრო გარემოს აღდგენა

ცნობილია, რომ სამხრეთ კავკასიის ბიომრავალფეროვნება გლობალური მნიშვნელობისაა. ამიტომ, როდესაც სახეობათა ნაირსახეობების და სხვადასხვა მოწყვლადი ეკოსისტემების სიცოცხლისუნარიანობა საფრთხის ქვეშ ექცევა, ის არამარტო საქართველოს მთავრობის არამედ საერთაშორისო საზოგადოების შეშფოთების საგანი ხდება. სამწუხაროდ, ადგილობრივი მოსახლეობა, კერძო და სახელმწიფო სექტორში მომუშავე ორგანიზაციები ხშირად დიდ ზიანს აყენებენ ბუნებრივ რესურსებს. ტყის უკანონო კაფვა, საძოვრების გადაძოვება და გადაწვა, მიწის დამუშავების არასწორი პრაქტიკა იწვევს რეგიონებში საარსებო წყაროს სოციალური და ეკონომიკური ბაზის დეგრადაციას და მოშლას. ჩგანსაკუთრებულად დიდი ზიანი მიადგა ბუნებას კრიზისულ წლებში, როდესაც გაიჩეხა და გადაიწვა დედოფლისწყაროს რაიონში შირაქის ველზე არსებული ქარსაცავი ზოლები. სწორედ ამიტომ, 2012 წლის შემოდგომიდან დღემდე, დედოფლისწყაროს აგრარული და გარემოსდაცვითი ასოციაციის, მუნიციპალიტეტის თვითმართველობისა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევით აღდგა 60 კილომეტრამდე დეგრადირებული ქარსაცავი ზოლები. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია ამავე პერიოდში ახორციელებდა კოლხური ხოხბის აღდგენის პროექტს. ქარსაცავი ზოლები ტყის პატარპატარა კორომები და ბუჩქნარი შირაქის ველზე ასრულებს კოლხური ხოხბის პოპულაციისთვის სამიგრაციო დერეფნების როლს. ამათუიმ ადგილას პოპულაციის სიმჭიდროვის გაზრდის ან რაიმე შემაწუხებელი ფაქტორის (ტყის გაჩეხვა, გადაწვა, ბრაკონიერობა და ა.შ.) გამო კოლხური ხოხბის ცალკეული გუნდები იწყებენ უკეთესი საბინადრო არეალის ძებნას, ისინი ეძებენ თავშესაფარს, ამიტომ გადაადგილებისათვის იყენებენ ქარსაცავ ზოლებს, საძოვრებზე შემორჩენილ ტყის კორომებსა და ბუჩქებს. ხანდახან თუ მყუდრო ადგილს მიაგნებენ ხოხბები რჩებიან ასეთ ადგილებში და გამრავლებასაც კი ახერხებენ. სწორედ ამიტომ გაჩნდა იდეა აღდგენილ ქარსაცავ ზოლებში განგვეხორციელებინა ეკლიანი ბუჩქების, ძეძვის, კვრინჩხის, კუნელისა და მაყვალის შერგვა. ტყის კორომების აღდგენის მიზნით კი მყუდრო ადგილების მოძიება და ხეებისა და ბუჩქნარის დარგვა. ერთის მხრივ ეკლიანი ბუჩქნარი ახლადდარგული ხის ნერგებისათვის გადაძოვებისაგან დამატებითი დაცვითი საშუალება იქნებოდა, ხოლო მეორეს მხრივ ასეთი ფართობები ბიომრავალფეროვნების წარმომადგენლებისათვის, მათ შორის კოლხური ხოხბისთვის საბინადრო გარემოს აღდგენას შეუწყობდა ხელს.



წინადადება წარედგინა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას, რომელმაც მოიწონა აღნიშნული იდეა და მათთან ერთად ჩვენ უკვე შევძელით პირველი საპილოტე პროექტის განხორციელება. კილომეტრზე მეტ სიგრძეზე დაირგო 1500-ზე მეტი ეკლიანი ბუჩქი (ძეძვი, კვრინჩხი, მაყვალი), ერთ ჰექტარზე მეტი ფართობი შემოიღობა და დაირგო 1100-ზე მეტი (კაკალი, საკმლის ხე, კუნელი) ხის ნერგი, მომზადდა ექვსი ინფორმაციულ-საგანმანათლებლო ბანერი. ჩგამოიცა 800 ცალი ბროშურა.

საპილოტე პროექტის წარმატება გაზაფხულ-ზაფხულის სეზონზე გამოჩნდება, თუ ნერგებმა გაიხარეს, შესაძლოა, ჩვენ სხვა ორგანიზაციები და დაინტერესებული მხარეებიც ამოგვიდგნენ გვერდში და კიდევ უფრო მეტ ფართობზე განვახორციელოთ გარემოსადმი კეთილგანწყობილი საქმიანობები, გაზაფხულზევე იგეგმება კოლხური ხოხბის გუნდების გაშვება სხვადასხვა ტერიტორიებზე. აღნიშნულის შესახებ ცალკე სტატიაში მოგითხრობთ, მაგრამ ყველა საქმიანობა თუ ძალისხმევა განწირულია საზოგადოების ფართო ფენების მხარდაჭერის გარეშე, სამარცხვინოა, როდესაც საერთაშორისო საზოგადოება ამხელა მხარდაჭერას იჩენს საქართველოს მიმართ, ჩვენი ზოგიერთი თანამოქალაქე კი არად დაგიდევთ კანონს, უსაფრთხოების წესებს და თავისი კუთვნილი საძოვრისა თუ სახნავი ნაკვეთის გადაწვისას უმოწყალოდ წვავს დიდი შრომის ფასად გაშენებულ ქარსაცავ ზოლებსა და ტყის კორომებს. საინტერესოა რომ, ეს ადამიანები არც თავის თავს უკეთებენ სარგებელს ამგვარი საქციელით, გადამწვარი საძოვარი და სახნავი მხოლოდ უკეთესი შედეგის ილუზიას ქმნის. მათ ჰგონიათ, რომ გადაწვისას მარცვლეული კულტურების დაავადებებს ებრძვიან მაგრამ სინამდვილეში მათზე ამგვარი ზემოქმედება მინიმალურია. დამწვარი ნიადაგი კი ჰკარგავს ყუათიანობას, ხევში შემორჩენილი ბუჩქნარის დაწვა აღარიბებს მცენარეულ მრავალფეროვნებას და ამცირებს ჩრდილის ფართობს, რომელიც თავის მხრივ ზაფხულის გაუსაძლის სიცხეებში ტენიანი და გრილი მიკროკლიმატის შექმნას უწყობს ხელს. ხანძარი ანადგურებს ასევე ფრინველების, ძუძუმწოვრებისა და რეპტილიების საბინადრო გარემოს, რომელთა უმეტესობა მღრნელებით იკვებება, ამ უკანასკნელთა სიმრავლე კი თავის მხრივ ასევე მოსავლის შემცირებას. დროა დავფიქრდეთ, გავიზიაროთ საერთაშორისო გამოცდილება და ჩვენი ქვეყნის მთავარი განძი, სასიცოცხლო გარემო შევინარჩუნოთ.

ამირან კოდიაშვილი
ვაშლოვანის დაცული ტერიოტორიების მეგობართა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე

ულოცავენ!

თამრიკო ხანიაშვილს! ავთო ცაკაშვილს!

გულწრფელად ვუერთდებით თქვენს სიხარულს-შვილების ლევანის და თაკოს ბედნიერებასთან დაკავშირებით.

ახალდაქორწინებულებს ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დღეგრძელობას, ქართული ტრადიციული ოჯახის შექმნას, თქვენ კი ბედნიერ პაპა-ბებიობას. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

პატივისცემით,
ზურაბ ჩალაბაშვილი ოჯახით.

ყურადღება!

დიდი ტრადიციების მქონე ქართული ხალხური სიმღერის ვაჟთა გუნდს-„ხორნაბუჯი“ ესაჭიროება შევსება. ვისაც გაქვთ მუსიკალური სმენა და გიყვართ ქართული ხალხური სიმღერა, გელოდებით ქალაქ დედოფლისწყაროს კულტურის სახლში, შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად!

მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, კოსტავას ქ.N1

595 09 05 07, 593 210 890

ვაშლოვანის ნაკრძალში დამთვალიერებელმა იმატა

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია ვიზიტორთა სტატისტიკას აქვეყნებს. მონაცემების თანახმად, დედოფლისწყაროში, ვაშლოვანის მოსანახულებლად შემოსული ქართველი დამთვალიერებელის რიცხვი გასულ წელთან შედარებით შემცირებულია.

2012 წელს ნაკრძალს 5747 ქართველი ვიზიტორი ეწვია, 2013-ში კი 5393, რაც იმას ნიშნავს, რომ წინა წელთან შედარებით 354 დამთვალიერებელით ნაკლები შემოვიდა.

ამასთან, გასული წლის მონაცემებში უცხოელი ტურისტების ზრდა შეინიშნება. უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მაჩვენებელი 656 ვიზიტორით გაზრდილია. თუ 2012 წელს ვაშლოვანს 1285 უცხოელი ვიზიტორი ეწვია, 2013 წელს მათმა რიცხვმა 1941 შეადგინა.



საერთო ჯამში ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რიცხვის ზრდა ფიქსირდება. 2012 წელს სულ 7032 ვიზიტორი დარეგისტრირდა, ხოლო 2013 წელს 7334.

ილია მარტყოფლიშვილი

ამინდი დედოფლისწყარო

ორშაბათი 03.02		სამშაბათი 04.02		ოთხშაბათი 05.02		ხუთშაბათი 06.02		პარასკევი 07.02		შაბათი 08.02		კვირა 09.02	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
-13 °	-12 °	-13 °	12 °	-11 °	-9 °	-5 °	-8 °	-8 °	-9 °	-9 °	-9 °	-8 °	-11 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ძენძაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
551 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K